რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 9 ნოემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 35 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საქმიანი განცხადება უნდა მოიტანონ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს და მასალებს რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція [illegible] რესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თბილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 192 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 192

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო და მოქალაქენო! ამიერ კავკასიის ამომრჩეველნო!

ხმა მიეცით ზავისა, მიწისა და თავისუფლებისთვის! ხმა მიეცით ამიერ კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის და მშვიდობიანობის განმტკიცებისთვის!

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ მენშევიკების სიას № 1.

ამიერ კავკასიის გლეხებო!

სოციალ-დემოკრატი—მენშევიკები პირველად გამოვიდენ ამიერ კავკასიაში მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველათ! მათ პირველმა გაიგეს თქვენი გაჭირვება! მათ შეუძლიათ ყველაზე უკეთ დაიცონ თქვენი ინტერესები და იბრძოლონ მიწებისთვის დამფუძნებელ კრებაში. **ხმა მიეცით ს.-დემოკრატ მენშევიკების სიას № 1!**

ამიერ კავკასიის მუშებო!

ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, ხმა მიეცით ჩვენ პარტიის, **სოციალ-დემოკრატების პარტიის სიას № 1.**

ჯარის-კაცებო!

სოციალ-დემოკრატი მენშევიკები უპირველეს ყოვლისა მოსთხოვენ დამფუძნებელ კრებას მიიღოს ენერგიული ზომები დაუყონებლივ ჩამოგდებულ იქნას დემოკრატიული ზავი. ჩვენ პარტიას ნამდვილი პირდაპირი გზა აქვს ზავის ჩამოსაგდებათ. **ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ მენშევიკების სიას № 1.**

ამიერ კავკასიის ერებო!

სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობის და მშვიდობიან ცხოვრების ქვაკუთხედია, ერთა თავისუფალ განვითარების ფხიზელი დარაჯია! ნაციონალურ დაჩაგვრის შეურიგებელი მტერია! ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობისა, ერთა თავისუფალ განვითარებისა, ერთა უმცირესობის უფლებათა დაცვისათვის—**ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ—მენშევიკების სიას № 1.**

ამხანაგებო და მოქალაქენო! ამიერ კავკასიის ამომრჩეველნო! ზავისა, მიწისა და თავისუფლებისათვის, ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობის და თავისუფალ განვითარებისათვის

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ—მენშევიკების სიას **№ 1.**

ჩოხატაურის ამხანაგები ღრმესი მწუხარებით აცნობებენ ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგი

რაფიელ ალმასხანის ძე რამიშვილის

მოულოდნელად დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ს. სურებში.

ღრმესად დამწუხრებული მამა ალმასხან, მეუღლე ვარდო შვილებით, ძმა არჩილ, დები ტერეზა, ელპიტა და მანიკო, უკვე ომში დაკარგულის ძმის გრიგოლის შვილები, სიძეები: ათანასე მეგრელიშვილი, მელიტონ ჩანტლაძე და ალექსი თევზაძე გაცნობებთ, რომ ტვინის ანთებით გარდაიცვალა ჩვენგან დაუვიწყარი უძვირფასესი

რაფიელ ალმასხანის ძე რამიშვილი,

რომლის გამოსვენება მოხდება თბილისიდან 7 ნოემბერს სად. საჯავახოში 8-ს დილის 11 საათზედ აქედან ჩოხატაურში, შემდეგ ს. სურებში. გთხოვთ ნათესავ ნაცნობ ამხანაგებს დაგვესწროთ. 2—2

გულდამწუხრებულნი ტრიფონ, არონ და ილია მეგრელიშვილები, დაი ჩვენი ეფენია, სიძე რაჟდენ თევზაძე გაცნობებთ, რომ თბილისში გარდაიცვალა ჩვენგან დაუვიწყარი უანგარო საზოგადო მოღვაწე ბიძა

რაფიელ ალმასხანის ძე რამიშვილი,

რომლის გამოსვენება მოხდება 8 ნოემბერს 11 საათზედ სად. საჯავახოში. იქიდან ჩოხატაურში. 2—2

ღრმათ დამწუხრებულნი მამა და ძმები ილიკო, ექვთიმე და ბართლომე თავაძენი და რძლები კატო, ივლიტა და სირიკო; ძმის შვილები ზინა, ნატაშა, დარეჯანი, ვერვენტი, ვასილი და ბიძა და ბიცოლა ეცლამში და ირინე ამაღლობელი გულდათუთქული ვაუწყებთ მის ამხანაგებს და მეგობრებს

ანდრია ესეიას ძე თავაძის

გარდაცვალებას, რომლის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი სოფელ ზემოხვეთში, წმ. გიორგის ეკლესიაზე 11 ნოემბერს, შაბათს, დილით 9 საათზე. ვთხოვთ მის ამხანაგებს მობრძანდნენ და პატივი სცენ. 2—1

ნესტორ, ივლიტა, კონსტანტინე, დავით და თამარ მერკვილაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 8 ნოემბერს გარდაიცვალა პირველის დედა, მეორესი დედამთილი და სხვების დიდედა

მარიამ კონსტანტინეს ასული მერკვილაძისა

პანაშვიდი დღეს, სადამოს ექვს საათზედ. გამოსვენება პარასკევს 10 ნოემბერს დილის ცხრა საათზე ბინიდგან (წყნეთის ქუჩა № 12) წმ. ნინოს ეკლესიაზე. წირვის და პანაშვიდის შემდეგ მოხდება იქვე დაკრძალვა.

თფ. ქალაქის საბჭო

ამით აცხადებს თფილისის იმ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელნიც უკვე შეტანილნი არიან ძირითად და შესწორებულ დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებში, რომ საქალაქო კომისია შეუდგა პირადული მოწმობის დარიგებას. ვინც ასეთ მოწმობას რაიმე მიზეზის გამო ვერ მიიღებს, ვთხოვთ მიმართონ მიღებისათვის 11 ნოემბერს საქალაქო კომისიას (გოლოვინის პროსპ. № 11, სადგარიანცის მაღაზია) არჩევნების დღეს კი მიიღებენ საარჩევნო უბნებში. 2—1

წარმოუდგენელი ანარქია

ლენინ-ტროცკის ავანტიურამ ისედაც მოშლილი და მინგრეულ-მონგრეული ეკონომიურსა და ფინანსიურ ცხოვრებაში წარმოუდგენელი ანარქია გააბატონა და ბოლშევიკების კარებიდან კონტრ-რევოლიუცია მთელი თავისი სიძლიერით შემოიჭრა. ცენტრი პერიფერიებს გამოეთიშა, უშველებელი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი დროებით თითქმის დამოუკიდებელ ცხოვრებას აწარმოებენ და ის ძლიერი და აუცილებელი კავშირი გაწყდა.

ამ ჟამათ მთლიანი რევოლიუციონური დემოკრატია დაირღვა, ურთიერთ-შორის დარაზმული კავშირი გაწყდა და ყველა სფეროში ანარქია გამძვინვარდა. ლენინ-ტროცკის უპასუხისმგებლო მოქმედებამ რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია დაშალა, ეკონომიურ ცხოვრებაში დეზორგანიზაცია შეიტანა, სამაგიეროდ მის მაგიერ არსებითი და დადებითი არაფერი დაუმყარებია. ასეთი ანარქისტებისა დ ბლანკისტების ბრძოლის მეთოდით, მათი საზოგადოებრივი „მოღვაწეობით“ ბაკუნინმა ძველი ინტერნაციონალი დაანგრია, მის თავზედური მოქმედება-აგიტაციით მარქს-ენგელსის მიერ შექმნილი ინტერნაციონალური კავშირი დაშალა და სამაგიეროთ მუშათა კლასის ინტერნაციონალურ ცხოვრებაში არც ერთი ცხოველ-მყოფელი ძალა არ დაუტოვებია.

ასევე მოიქცენ, რუსეთის ანარქისტ-ბლანკისტები და მათი ამყოლ-დამყოლნი.

მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ანარქისტმა ბაკუნინმა ინტერნაციონალური მუშათა კავშირი დაანგრია, ხოლო ეკონომიურ ცხოვრებაში მისი მოქმედება შეუმჩნეველი და უკვალოდ დარჩა. საერთო აღებ-მიცემობა, სხვადასხვა სახელმწიფოებში ეკონომიური და ფინანსიური მსვლელობა ჩვეულებრივი გზით მიმდინარეობდა და იქ ანარქიას ხალხის დამღუპველი ხასიათი არ მიუღია. ლენინ-ტროცკის „მთავრობამ“-კი რევოლიუციონური მოძრაობის დაშლასთან ერთად დაშალა და ანარქია გააბატონა მთელს რუსეთში.

მოსკოვიდან მეტად სამწუხარო ცნობები მოდის. იქ ბანკების ხელმძღვანელთა საქვეყნოთ განუცხადებიათ, რომ ისინი ბანკებს არ გახსნიან, ვიდრე პეტროგრადიდან ფულს არ მიიღებენ. ჩვენ არ ვიცით რას იზამენ მოსკოვის კრედიტული დაწესებულებანი, მხოლოდ ერთი რამ კი აშკარაა, რომ ცენტრში გამეფებული ანარქია-ანარქიას გააბატონებს მთელი იმპერიის ეკონომიურ და ფინანსიურ ცხოვრებაში. განა არსებულ კაპიტალისტურ-ფინანსიურსა და კრედიტის ბაზაში ცენტრი არამც თუ განაპირა თვით მახლობელ ქალაქებს გამოეყოს და მათ შორის უნდა ყოველგვარი კავშირი შესწყდეს! ეს ხომ მთელი ეკონომიურ ცხოვრების არევ დარევა და ამას მეტის-მეტათ მძიმე შედეგები მოსდევს. დაირღვა ფინანსიური კავშირი, დაირღვა ამავე დროს მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობა და ყოველი მხარე თუ მაზრა საკუთარ ეკონომიურ ცხოვრებას უნდა შეუდგეს.

ასეთი გარემოება კარ-ჩაკეტილ მეურნეობაში ისე სამწუხარო და სავალალო არ იქნებოდა, ვინაიდან მაშინ ყოველი ეკონომიური ერთეული მეორე ეკონომიურ ერთეულის დამოუკიდებლათ თავისი ყველა მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა და გაცვლა-გამოცვლა, ფულის ტრიალის საჭირო არ იყო. მაგრამ რა უნდა მოხდეს ამ ჟამათ, განვითარებულ საქონლისა და გაცვლა-გამოცვლის ბაზაში, როცა მთელი ეკონომიური ცხოვრება ფულის ტრიალზეა აშენებული? რას უნდა მოველოდეთ უკეთუ სახელმწიფოს ცენტრალური კასა სხვადასხვა ადგილებში საჭირო ფულს ვერ მიაწვდის, ფინანსიურ ანარქიას გააბატონებს? მთელი თანამედროვე ცხოვრების მოშლას და ყველგან წარმოუდგენელ ეკონომიურ ანარქიის გაბატონებას. ასეთ ანარქიის ნიშნები უკვე არსებობს, მრავალი კუთხეები თითქმის უფულოთ რჩებიან დ მთელი გაცვლა-გამოცვლა წარმოუდგენელ კრიზისის მორევში შეცურდა. მდგომარეობა ტრაგიკულია. შეგნებულ დემოკრატიის წინაშე დიდი პრობლემა სდგას გადასაჭრელათ, მან მთელი თავის ძალ-ღონე იქით უნდა მიმართოს, რომ ასეთ უკუღმართ მდგომარეობას ბოლო მოუღოს, უპასუხისმგებლო „მართველთა“ ბატონობას ბოლო მოუღოს და შექმნას ერთგვარი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ფართო მასის ნდობით იქნება აღჭურვილი და ეს მთავრობა 170 მილიონ მცხოვრებს ფინანსიურსა და ეკონომიურ ანარქიიდან იხსნის. თითოეული ეკონომიური ერთეული მოვალეა ყოველ კრიტიკული მდგომარეობისათვის მზად იყოს, მან ყოველგვარი ზომები უნდა იხმაროს, რომ ის ფინანსიური ანარქია, რომელიც დღეს თავს დაგვტრიალებს თავიდან აიცილოს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წესრიგი შეიტანოს. ეკონომიური და ფინანსიური კრიზისი მსოფლიო ომის გამო ანარქიამდის მივიდა და თუ ახლა ამას ზედ დაერთო ფინანსიური ცენტრის პერიფერიებთან და სხვადასხვა კუთხეებთან კავშირის შეწყვეტა,—წარმოუდგენელი ანარქია აუცილებელი შედეგი იქნება და შიმშილი, ძარცვა, აწიოკება ყველგან გაბატონდება.

მაშასადამე ეს რევოლიუციონური დემოკრატიის აუცილებელი ვალია დაუყოვნებლივ შეადგინოს ნდობით აღჭურვილი ერთფეროვანი დემოკრატიული მთავრობა და მით ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღოს იმ ანარქისტების ბატონობას, რომლებმაც რუსეთის მთელი ეკონომიური ცხოვრება განსაცდელში ჩააგდეს. ადგილობრივ დემოკრატიული ძალების დარაზმვა და არსებულ ფინანსიური არევ დარევის მოწყობა—აი რას გვავალებს თანამედროვე ეკონომიური და პოლიტიკური ანარქია.

ქვეყანა განსაცდელშია

ლენინის მიერ გამოწვეულმა სამოქალაქო ომმა ყირამალა გადაატრიალა მთელი ცხოვრება. ყველა გრძნობდა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო, მაგრამ ნამდვილი ვითარება საქმისა არავინ იცოდა.

ამიტომ იყო, რომ ათასგვარი შეუსაბამო ხმები გავრცელდა ლენინის მოღვაწეობის შესახებ.

როგორც ჩვეულებრივ ხდება, პეტროგრადის ამბებს ყველაზე უწინ შეძლებული კლასები გამოეხმაურნენ. მათ ერთი აურზაური ასტეხეს ლენინ-ტროცკის პიროვნების გარშემო, ქვეყანას ისე მოაჩვენეს, თითქოს ბოლშევიკები სისხლის მსმელები ყოფილიყვნენ.

შეძლებულ კლასების განზრახვა აშკარაა: მათ სურთ სახელი გაუტეხონ პროლეტარულ და სალდათთა ორგანიზაციებს და მათი დაშლით მთელი მოძრაობა დაშალონ.

დღეს თანდათან იფანტება ბურუსი.

უპასუხისმგებლო პირებმა თუმცა უდროვო დროს აიყოლიეს პროლეტართა და სალდათთა მასსა, პროლეტარიატის მოძრაობას მაინც გმირობის ბეჭედი აზის, თითო ოროლა გამონაკლისს გარდა, მოძრაობას არ შეულახავს არც ერთი ზნეობრივი კანონი. მაგრამ ამავე დროს მოძრაობამ უკუაგდო სოციალისტურ ბრძოლის მეტოდები და უმრავლესობისთვის უმცირესობის ნება-სურვილების თავზე მოხვევა განიზრახა.

სწორეთ ეს არის მთავარი და მიუტევებელი შეცდომა, რომელიც ავანტიურის მეთაურებმა სამოქმედო პროგრამათ აღიარეს. ჩვენ აშკარათ და გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ ლენინ-ტროცკის ამ ავანტიურას.

ჩვენ გულზე ხელ-დაკრეფილი ვერ ვიჯდებით, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ და ვერ ველოდებით, სანამ ლენინის მთავრობა თითონვე ბუნებრივის სიკვდილით არ ჩაესვენება საფლავში.

ჩვენ, როგორც მარქსისტებმა კარგათ ვიცით, რომ რევოლიუციას ქმნის არა „გმირთა“ სურვილი, არამედ ძალთა რეალური განწყობილება. ამიტომ ლენინიზმი, როგორც ცხოვრების უკანონო შვილი, დროს მოიჭამს და ისტორიას ჩაბარდება.

მაგრამ ჩვენ არ ვივიწყებთ იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელშიაც ქვეყანა იმყოფება. გარეშე მტერი—გერმანია და ოსმალეთი ორი მხრიდან არის მომდგარი. ფინლიანდია გაბოროტებულია ძველი მთავრობის მოქმედებით. ასეთივე მდგომარეობაა უკრაინაში, ყუბანისა და დონის ოლქში, მთიულებში და სხვ. სხვაგვარ ჩვეულებრივ პირობებში აქ საშიში არა იქნებოდა რა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ახალ გამოჩეკილ რესპუბლიკათა შორის უმრავლესობა კონტრ-რევოლიუციონურია, იგივე ვანდეა, რომელიც ჯერ-ჯერობით მოხერხებულად მალავს თავის აშკარა რეაქციონურ ლტოლვებს. რუსეთის დარღვევის საკითხი მთავარ საკითხათ არის გადაქცეული.

რა მოველის კერძოთ ჩვენ, კავკასიის მცხოვრებთ? როგორ გავლენას მოახდენს ეს რღვევის პროცესი ჩვენს ქვეყანაზე... ას წელზე მეტია, რაც რუსეთთან პოლიტიკურათ და ეკონომიურათ ვართ დაკავშირებული. ზარბაზანთან ერთად რუსეთმა ერთნაირი კულტურაც შემოიტანა ჩვენში, დაამყარა ერთნაირი მოქალაქეობრივ ცხოვრების წესი.

დღეს ჩვენ იმდენათ მომწიფებული ვართ, რომ პოლიტიკურათ კიდევ შეგვიძლია საკუთარ ფეხზე დადგომა.

მაგრამ ეკონომიურათ ჩვენ არაფერს წარმოვადგენთ. ჩვენ იმ თავითვე რუსეთის პე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით ვიკვებებოდით. საქმეთა რამდენიმე დღით შესწყდეს რუსეთიდან პურის გზავნა, რომ შიმშილობის მსხვერპლი შევიქნეთ. მდგომარეობა კრიტიკულია.

ჩვენი მოვალეობაა ვიხსნათ რუსეთი დაღუპვისაგან, თორემ თუ რუსეთი დაიღუპა, ჩვენც მდევრად თან ჩავყვებით.

ეს შეგვიძლია ჩვენ დემოკრატიულ ორგანიზაციების განმტკიცებით, მათი ავტორიტეტის ამაღლებით. ბოლშევიკების მფეირალა ფრაზეოლოგიას ჩვენ დაუპირდაპიროთ ცოცხალი საქმე, ჩვენი ორგანიზაცია. ქვეყანა განსაცდელშია; ანარქია ძლიერდება. ხელი შეუწყოთ მის მოსპობას. მთლიანი, ძლიერი რუსეთი—აი რა გვიხსნის ჩვენ და უზრუნველყოფს ჩვენში ყოველგვარს თავისუფლებას.

აი რა იხსნის მდგომარეობას.

რევოლიუცია განსაცდელშია. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პეტროგრადის ამბები

მოსკოვიდან პირდაპირი მავთულით ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე მინირისგან ც. ზეიმჰკორს.

,,მე და წერეთელი ზავის ჩამოგდების დღეს მივედით მოსკოვში. ერთი დღე დამე სამაზრო ქალაქ პოდოლსკში ვიყავით. ჩვენ მოვახდინეთ თათბირი ამხანაგებთან და გამოვცდით ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში. 6 ნოემბერს წერეთელი პეტროგრადისკენ გაემგზავრა. მდგომარეობა მოსკოვში ფრიად სამწუხაროა. პეტროგრადში წთავრობა საბჭოს გაზორდა და ის ლენინის და ტროცკის ხელშია. ლენინის მიერ დანიშნული კომისარები უკვე თანამდებობიდან გადადგნენ. მოსკოვის ქალაქის საბჭო ბოლშევიკებმა გარეკეს, მაგრამ მან გადასწყვიტა საქმეს თავი არ დაანებოს, პირდაპირ ფეხქვეშ გათელილია,—სოციალისტურიც კი. ჩვენი გადაწყვეტილებაა ბოლშევიკების იზოლიაცია ერთი დემოკრატიულ ფრონტის შექმნით. მე და რუდნევი პეტროგრადში მივდივართ ქალაქთა და ერობათა მთავრობის შესახებ სათათბიროთ. იქონიეთ ჩვენთან დამოკიდებულება.

(გაზეთებიდან).

პეტროგრადის ქალაქის საბჭოში.

პეტროგრადის ქალაქის საბჭოს კრებაზე 28 ოქტომბერს ხმოსანმა ნარიენმა მოხსენება გააკეთა იმის შესახებ, რომ ქალაქის საბჭომ აირჩია დელეგატებათ გოცი, ზენზინოვი, კაპიცი, ჩერნოვი და ნარიენი. ეს დელეგაცია უნდა წასულიყო გატჩინოში, რომ როგორმე თავიდან აეცდინა კერენსკის და საიხედრო-რევოლიუციონერ ჯარების შეტაკება. დელეგაციამ სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირის ცენტრალურ კომიტეტისაგან წასასვლელი ნებართვა მიიღო. მივიდა ბალტიის სადგურზე და მიმართა კომენდანტს. კომენდანტმა რამდენიმე შეკითხვა მისცა მათ რომელ პარტიას ეკუთვნიან, სცნობენ თუ არა საბჭოების მთავრობას და ბოლოს განუცხადა, რომ გატჩინოსთან დამოკიდებულება სრულიად შეწყვეტილია და უარი უთხრა გამგზავრებაზე. სადგურიდან გამოსვლის შემდეგ დელეგატები დაიჭირა მეზღვაურთა ჯგუფმა და ისევ უკან დააბრუნეს კომენდანტთან. ამ დროს კომენდანტი ვილაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა და მათ სთხოვა მოიცადოთ. სანამ კომენდანტი განთავისუფლდებოდა მეზღვაურნი დასთანხმდნენ წასულიყვნენ დელეგატებთან ერთად რკ. გზ. კავშირში მათი ვინაობის შესამოწმებლათ. კავშირმა დაადასტურა მათი ვინაობა, რის შემდეგაც იგინი გაანთავისუფლეს. მაგრამ ვერს ნახევარი არ გაევლოთ, რომ მათ დაეწია ავტომობილი, რომელშიაც ისხდნენ იგივე მეზღვაურები, რომლებმაც ისევ დაატუსაღეს იგინი და უკანვე დააბრუნეს ბალტიის სადგურზე. გზაში მეზღვაურები არ ეპყრობოდნენ კარგათ დელეგატებს.

გოცს თოფის კონდახი დაარტყეს ზურგში. „მე რვა წელიწადი კატორღაში ვიყავი", წამოიძახა აღელვებულმა გოცმა. „მეფის მთავრობა ყველას ყოფდა ციხეში, ვისაც კი ხელს წაავლებდა, ჩვენ რა ვიცით, რისთვის იყავით თქვენ კატორღაში?"—უპასუხეს მეზღვაურებმა. ბალტიის სადგურთან გაჩერდნენ. გოცი მარტოთ წაიყვანეს სადგურზე და შეატყობინეს კრილენკოს დელეგატების დატუსაღება. კრილენკო ტელეფონით ელაპარაკა გოცს, სიტყვა ჩამოართვა, რომ არ გაიქცეოდნენ, გამოგზავნა ავტომობილი, რომლითაც დელეგატები სმოლნიში წაიყვანეს. კრილენკომ, სხვათა შორის, სთქვა, რომ ბოლშევიკები წინააღმდეგი არ იქნებოდნენ შეედგინათ მთავრობა სხვა პარტიებთან ერთათ. მოლაპარაკების შემდეგ ყველანი გაანთავისუფლეს, გარდა გოცისა, რომელიც გაგზავნეს სმოლნი ინსტიტუტში, საიდანაც მან მაინც შესძლო გაპარვა. მოხსენების შემდეგ თავმჯდომარე ტრუპპი სიტყვას აძლევს რიგს გარეშე განცხადებისათვის იმ წუთში ქალაქის საბჭოს წინ მომხდარ სროლის შესახებ. ბრბომ მოინდომა წითელი გვარდიისთვის იარაღი აეყარა, მათ საშველათ მოვიდნენ ჯარისკაცები, რომლებმაც თოფები გაისროლეს. მოჰკლეს 12 წლის ქალი, რომლის გვამი ქალაქის საბჭოს შენობაში შემოიტანეს.

ეს განცხადება ყველაზე თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენს. ქალაქის საბჭომ დაადგინა მიმართოს მცხოვრებთ, არ გამართონ მიტინგები და ბავშვები ქუჩაში არ გამოუშვან. შემდეგ შინგარევის წინადადებით საბჭომ დაადგინა მოითხოვოს ყველა დატუსაღებულ მინისტრების განთავისუფლება, რადგან ბურჟუაზიულ მინისტრების საპყრობილოში დატოვება სამარცხვინო ფაქტია. ბოლშევიკებმა თავი შეიკავეს. შემდეგ შინგარევმა მოითხოვა, რომ კრებაზე მყოფი ბოლშევიკები წასულიყვნენ. მან მოაგონა, რომ იოფემ, ბოლშევიკების სახელით 26 ოქტომბერს განაცხადა, რომ ბოლშევიკები ხმოსნობას თავს ანებებენ და თან დაუმატა, რომ, რადგან ქალაქის საბჭო დღევანდელ მდგომარეობას არ შეეფერება, დათხოვნილ იქნებაო. თავის სიტყვას შინგარევი ასე ათავებს: ,,გავთრიეთ აქედან, მოღალატენო, მკვლელებო, ყაჩაღებო!" თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს შინგარევს:

— თუ მართლა არიან მოღალატენი და მკვლელები და თუ იმათ ბოლშევიკებს ეძახიან, ასეთები ხმოსნებში არ არიან.

პროტესტს აცხადებს შჩუკინ ვლადიმიროვი ბოლშევიკების შეურაცხყოფისათვის.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ტელეფონის სადგურის გამგე სადგურის მდგომარეობის შესახებ. იქ მივიდა კომისარი, რომელიც მოითხოვს ერთი აბონენტების გამორიცხვას და სხვების მიღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, რევოლვერით ემუქრება. ამ მდგომარეობაში მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მოსამსახურე ქალები მაინც განაგრძობენ მუშაობას, სანამ ძალღონე შესწევთ. ტელეფონის სადგური კომისარების განკარგულებას არ დაემორჩილება. შემდეგ საბჭოს მოხსენდა, რომ მეცხრე კავალერიის პოლკი თხოულობს გაუგზავნონ მათ ქალაქის საბჭოს დელეგატები, რომელთაც მათ უნდა მოუთმინონ. ტრიბუნაზე ადის ქალაქის თავი შრეიდერი, რომელიც მოხსენებას აკეთებს პეტრე-პავლეს ციხის შესახებ. ქალაქის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პეტრე-პავლეს ციხის კომენდანტმა იგინი კარგათ მიიღო. ქალაქის თავი პირველათ სიტყვას აძლევს ექიმ ეშნერს, რომელიც აცხადებს, რომ მან გასინჯა ყველა დატუსაღებული იუნკრები. იგინი დაწყვეტილნი არიან პეტრე-პავლეს გარნიზონის პოლიტიკურ კლუბის შენობაში. ერთ ოთახში არის საზამთრო სასახლის ლაზარეთიდან წაყვანილი 20 იუნკერი. ყველანი მარტო თეთრეულის ამარა არიან და ზევიდან ფარაჯები ხურავთ. ყველანი ტიტველ იატაკზე წვანან. მათ ჩალაც არ მისცეს ქვეშ გასაფენათ. ორი დღის განმავლობაში მათთვის არავითარი საჭმელი დახმარება არ აღმოუჩენიათ. ქალაქის წარმომადგენელთა მოთხოვნით იუნკრები დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეს და ქალაქთა კავშირის ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ის ამბობს, რომ ინახულა დატუსაღებულები ტერეშჩენკო, კონოვალოვი და ბერნაცკი. არ გამართლდა ის ხმები, თითქოს ტერეშჩენკოსთვის ეცემოთ. ყველა მინისტრებმა აღნიშნეს, რომ მათ კარგათ ეპყრობიან. შინგარევის შეკითხვაზე:—მართალია თუ არა ის ხმები, რომ საზამთრო სასახლიდან პეტრე-პავლეს ციხემდე მინისტრებს აწვალებდნენ და დასცინოდნენ,—შრეიდერმა განაცხადა, რომ ამის შესახებ მინისტრებს არაფერი უთქვამთ. მართალია, ბრბომ იგინი შეურაცხყო, მაგრამ დამცველები ცდილობდნენ დაეცვათ იგინი. გზაში სროლის ატეხა მათთვის უარესი შეცდომა იყო. დასასრულ თავმჯდომარე აქვეყნებს მოკავშირეთა ელჩების განცხადებას, რომ ტყუილია ის ხმები, თითქოს მათ გადაეწყვიტოთ პეტროგრადის დატოვება.

ამხანაგებო!

გახსოვდეთ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოახლოვებულია. გაზარდეთ ფართო აგიტაცია ჩვენი პარტიის სასარგებლოთ და ეცადეთ გააძლიეროთ საარჩევნო ფონდისთვის ფულის მოგროვება.

ახალი ამბები

საარჩევნო სამზადისი. ქალაქის გამგეობამ ქალაქის საარჩევნო კომისიას დაუთმო არჩევნების საჭიროებისათვის 10 სასწავლებლის შენობა.

— თფილისი დაიყო საარჩევნო ნაწილებათ. 44 ნაწილი დანიშნულია მოქალაქეებისათვის, 11—სამხედრო პირთათვის, 34—ლაზარეთებისათვის.

— ქალაქის საარჩევნო კომისია ამჟამათ აწყობს უბნის საარჩევნო კომისიებს. მან მიმართა ყველა პოლიტიკურ პარტიებს გამოგზავნონ თავის წარმომადგენლები უბნის კომისიებში.

— მუსულმან ქალთათვის ცალკე საარჩევნო ყუთებს დადგამენ მაიდანში და პირველ უბანში.

— ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დღემდისაც არ მოსვლია ცნობები საარჩევნო კამპანიის შესახებ ზოგიერთ მაზრებიდან. ასეთია, მაგ. ოზურგეთის მაზრა და სხ.

◆ **სასურსათო საქმის გარშემო.** ქალაქის გამგეობამ განიხილა სასურსათო საქმის ქალაქის თვითმართველობის ხელში გადასვლის საკითხი. მიღებულ იქმნა შემდეგი დებულებები: არსდება სასურსათო საქმის გამგეს თანამდებობა, უნდა მოეწყოს მიმდინარე საქმეების საწარმოებლათ საგანგებო საკრებულო, რომელშიაც შევლენ ქალაქის საბჭოსა და გამგეობის, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და თფილისის კოოპერატივების კავშირის წარმომადგენლები და საბჭო, რომელიც გაუწევს სასურსათო საქმეს საერთო ხელმძღვანელობას.

◆ **ოთახების რეგისტრაცია.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოახდინოს კერძო ბინების რეგისტრაცია. სამხედრო პირებს არ მიაქირავებენ კერძო ბინებს, სანამ რეგისტრაცია არ დასრულდება. ამ დროის განმავლობაში ისინი უნდა მოთავსდნენ სასტუმროებში ან ლაზარეთებში.

◆ **საარჩევნო ფონდი.** რ. ს.-დ. მ. პ. საოლქო კომიტეტმა მიიღო დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლად იოსებ ბარამიშვილისაგან 10 მან.; ზარეჯმარის მე-14 კავკ. მუშათა ბატალიონის ს.-დ. წრისაგან—155 მან; სარიყამიშის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციისაგან—300 მან.; მიხაილოვის რ. ს.-დ. მ. პ. კომიტეტისაგან—300 მან.; ოჩემჩირის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციისაგან—100 მან.

◆ **მოსალოდნელი გაფიცვა.** საშუალო სასწავლებლების მოსამსახურეებმა დაადგინეს გამოაცხადონ გაფიცვა 16 ნოემბრიდან, თუ მათი ეკონომიური მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილეს.

◆ **ბინის განყოფილების** გამგეთ ქალაქის გამგეობამ დანიშნა ამხ. გეპშტეინი.

◆ **ვერის ბორანის** მოიჯარადრეს ქალაქის გამგეობამ ნება დართო გაადიდოს ბილეთის ფასი 3 კაპეიკიდან 5 კაპ.მდე, ჯარისკაცთათვის ძველი ფასი რჩება.

◆ **უბნის გამგეები.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა უბნის საბჭოების მოწყობამდე დანიშნოს ყველა უბნებში პასუხისმგებელი გამგეები.

◆ **ფულით დახმარება.** ქალაქის გამგეობამ პროფესიონალურ კავშირთა ბიუროს აღმოუჩინა წლის ბოლომდე 3600 მან. დახმარება სკოლების მოსაწყობათ.

◆ გაზეთ „სოც. დემოკრატში" იყო მოთავსებული ცნობა, თითქოს გრიგოლ კოპლატძისთვის მატარებელს ორივე ფეხები მოეწყვიტოს. ეს ცნობა სავსებით მართალი არ არის, კოპლატძეს [illegible] დაუზიანდა ცალი ფეხი, მაგრამ ახლა უკეთ არის და მუშაობას განაგრძობს ქ. ოზურგეთში.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე, მე-2 მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (მუხრანის ქ.) დანიშნულია მე-4 სამილიციო უბანში მცხოვრებ ს.-დ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, მე-6 სავაჟო გიმნაზიის შენობაში (საფულისწყლის ქ.) ამხ. კირილე ნინიძე წაიკითხავს ქართულ ენაზე ლექციას შემდეგ თემაზე: დღევანდელი მომენტი და დამფუძნებელი კრება.

— დღეს, საღამოს 7 ს., დანიშნულია კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა კონფერენციის მომწვევი კომისიის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა სხდომა.

— დღეს, საღამოს 7 ს., დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე (ფრეილინის ქ.) ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების გამგეობის მიერ დანიშნულია პირველი საორგანიზაციო კრება ქართველ ბუნებისმეტყველებისა.

— დღეს, საღამოს 7 ს., მ. დ. ჯ.-კ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სამხედრო სექციის სოციალ-დემ.-მენშევიკთა ფრაქციის მიერ იწვევა ამხ. მენშევიკ ჯარისკაცთა და მიმდინარე ამბების საკითხში თანაგრძნობთა კრება მიხეილის პრ. აფიცერთა ეკონომიური საზოგადოების ყოფილ შენობაში.

საარჩევნო სამზადისი

ფოთი. ქალაქის არჩევნების დროის გამორჩენილ პირთათვის დამზადებულ იქნა დამატებითი სიები დამფუძნებელი კრებისათვის. ამ დამატებითი სიებში შეტანილ მოქალაქეთა საერთო რიცხვი აღემატება 400 კაცს.

— რ. ს.-დ. მ. პ. ფოთის ორგან. კომიტეტმა დაადგინა გამოსცეს დამფუძნებელ კრების მოახლოვების გამო საარჩევნო გაზეთი „წინ". გაზეთს ხელმძღვანელობას სარედაქციო კოლეგია 5 კაცისაგან შემდგარი. პირველი № გამოვიდა კვირას, 5 ნოემბერს.

— ფოთის ორგანიზაციასთან დაარსდა პროპაგანდისტთა წრე (კოლეგია), რომელშიაც ჯერ-ჯერობით შედის 30 კაცამდე. პროპაგანდისტთა კოლეგიის დანიშნულებას შეადგენს—დამფუძნებელ კრების არჩევნების მოახლოვების გამო უბნებში მოხსენებების გაკეთება: მომენტზე, ლექციების მოწყობა სხვადასხვა ადგილას, მიტინგების გამართვა, აგიტაცია და სხვ. ლექციების საერთო თემას შეადგენს: „დამფუძნებელი კრება, მიმდინარე მომენტი და ჩვენი პარტიის მოვალეობა". ჯერ-ჯერობით ლექტორებათ ჩაწერილი არიან: დავით ონიაშვილი (,,საერობო საკითხი"), გ. ჩიტაია (,,ნაციონალური საკითხი"), ფ. ხარაზიშვილი (,,კაპიტალიზმი და სოციალიზმი"), ლ. კილურაძე, ბ. თევზაია, გრ. ხოფერია და სხვ. უკვე მოეწყო ყველა უბნების კრებები. ყოველმა უბანმა აირჩია უბნის მდივანი და ორი ორგანიზატორი. უბნის მდივნის მოვალეობას შეადგენს ფულების აკრეფა, ახალი წევრების ჩაწერა და სხვ. თითო უბანში უნდა კეთდებოდეს მოხსენებები მომენტზე, პარტიულ ცხოვრებაზე და სხვ. შესახებ. არჩევნების მოახლოვების გამო უბნებში მუშაობა უნდა გაცხოველდეს. თითო უბნის კრება ხდება თვეში ორჯელ.

— გაიხსნა დამფ. კრების მოახლოვების გამო ს.-დ. პოლიტიკური კლუბის განყოფილება ჯარისკაცთა და კუნძულის სახელოსნო სკოლაში. კლუბის განყოფილებაში წაკითხული იქნება ლექციები და მოხსენებები.

შალვა ჩ—ია.

რაფიელ ალ. რამიშვილი

გული ხარობდა, ლაღობდა,
მთელი დღე მეხინებოდა,
რას ვიფიქრებდი ბეჩავი
თუ რამე მეწყინებოდა.
უცებ მოვიდა ამბავი,
მომკვდარა რაფიელიო;
დაუხუჭნია თვალები,
დაუკრეფნია ხელიო.
მეწყინა, გული დამწყვიტა
ამ ულმობელმა ცნობამა
გარს ფიქრი შემომიბურა
დამწუხრებულმა გრძნობამა.
დღეს, როცა უფრო გვჭირია
შენსავით შეგნებულები,
ხალხის მოსარჩლე შვილები,
სიმართლის მოციქულები;
როცა თავს ჰყოფენ ხვრელიდან
ბნელეთის ავი სულები
და ჩვენც რაზმს ვადგენთ მათ სამტროდ
დროშის ქვეშ შეფიცულები,—
შენ არა სჩანხარ, ძვირფასო,
ჩვენ შორის არ გვეგულები.
მშვიდობით, ძმაო! შენს ამაგს
არ დაივიწყებს სოფელი,
არ დაივიწყებს შენს სახელს
არც ერთი თანამგრძნობელი,
გულში ჩაგიკრავს, გაგათბობს
შენი მიწა და მშობელი,
მეც ხშირად გნახავ, გეტირებ
ცხარე ცრემლ შეუშრობელი.

გ. ქუჩიშვილი.

ულმობელმა სიკვდილმა მოულოდნელათ გამოგვტაცა ჩოხატაურელ ამხანაგებს ყველასათვის საყვარელი და პარტიაში დიდი ხნის მომუშავე თავდადებული ამხანაგი რაფიელ ალმასხანის ძე რამიშვილი. ის არ იყო დიპლომით აღჭურვილი, მაგრამ ამავე დროს ისეთი გამჭრიახი ჭკუა-გონების, ლინჯი, მოფიქრებული მოლაპარაკე და მიუდგომელი იყო, რომ მისი დაკარგვა მთელი გურიის ამხანაგობისათვის დიდი დანაკლისია. რაფიელი მოძრაობის დაწყებიდანვე ჩაება პარტიულ მუშაობაში და უკანასკნელ დღემდე ერთგულათ ემსახურებოდა მისთვის საყვარელ პარტიულ საქმეს. ის ივიწყებდა თავის პირად საქმეებს, ოღონდ საერთო საქმე გაკეთებულიყო, მისი ასეთი საზოგადო საქმისადმი სიყვარული კარგათ იცოდნენ მისმა ამხანაგებმა და ამიტომაც იყო, რომ ყველგან, სხვებთან ერთად, უსათუოდ რაფიელსაც ირჩევდნენ. ის არჩეული იყო ჩოხატაურის სარაიონო კომიტეტში და აგრეთვე სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებში. მისი ასე მოულოდნელათ დაკარგვა ყველა მისი ამხანაგებისათვის გულის მომკვლელია. რაფიელი გარდაიცვალა ტვინის ანთებით ქ. თფილისში 5 ნოემბერს, მისი ცხედარი გაასვენეს გურიაში 7 ნოემბერს. გასვენებას დაესწრნენ ამხანაგები, სადგურზე სიტყვა წარმოსთქვა. გალობდა გურულების გუნდი.

ძვირფასო ამხანაგო! შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის. —დია.

ამხ. კაკი წერეთელი ქობულეთში

ქობულეთელმა ქართველმა მუსულმანებმა გაიგეს თუ არა გზად კაკი წერეთელი გამოივლისო—მაშინვე თავი მოიყარეს სადგურზე. მატარებელს შეხვდნენ დროშით და სიმღერით. მატარებელი შეჩერდა თუ არა, მოხუცმა გულო-აღა კაიკაციშვილმა შემდეგი სიტყვა უთხრა: მოხუცი ქართველი მაჰმადიანი მოგესალმებით ქრისტიან ქართველ ახალგაზრდას, მთელ ქვეყანაზე სახელ განთქმულ თავისუფლებისათვის მებრძოლს, მე მამა შენს, გიორგი წერეთელს კარგად ვიცნობდი. ჩვენ რომ დიდი გასაჭირი გვქონდა, მაშინ ის აქ აი აგერ ხუცუბანში ბრძანდებოდა, ნახევარი ხაბაძი ეგო და ნახევარი გურია, ჩვენს გასაჭირს სწერდა გაზეთ „დროებაში" და ქრისტიან ქართველებს ეხვეწებოდა დაეხმარეთ მშიერ-ტიტველ და უსახლ-კარო ქობულეთელებსო. მისმა ხვეწნამ გასჭრა, ქართველებმა ფული მოიხოვეს, იგი ფული სერგი მესხმა მოგვიტანა და ჩაგვაპურა. ამას ჩვენ ვერ დავივიწყებთ. მერე კიდევ უარესი დღე დაგვადგა. იმ დროის თვითმპყრობელობისაგან შენც დასჯილი იყავი, ხელზე და ენაზე ბორკილი გედვა და ციმბირში იყავი დამწყვდეული, მარა შენმა ამხანაგებმა ჩხენკელმა და ჩხეიძემ მოგვხედეს, გვიპატრონეს და თუ ცოცხლები ვართ აგი იგინის წყალობაა, იგინმა გადაგვარჩინე. ახლა ნამდვილ გვიხარია შენ რომ კარგად გხედავთ, გვეიმედება მამაშენის ანდერძი შეასრულო და მოგვხედო, აგი მამაშენის სულს იამება, დაგვახლოვე ჩვენ ძმებს ქართველ ქრისტიანებს. გაუმარჯოს ჩვენს ერთობას და ყველაის თავისუფლებას!

გულითადს შემდეგ სოც.-დემ. ქობულეთელ ამხ. სახელით მოკლე და მგრძნობიარე სიტყვით მიესალმა ამხ. სან. ცინცაძე და მიართვა თაიგული.

მასწავლებელთა საყურადღებოთ

ამიერ-კავკასიის სასწავლო კომისარიატთან არსებულ ქართულ საპედაგოგიო საბჭოს მორიგი სხდომა მოხდება დღეს, ხუთშაბათს, 9 ნოემბერს—სამოსწავლო ოლქის ბინაზე, (გოლოვინის პროსპექტი, ოქროევის სახლი). სხდომა დაიწყება საღამოს 7 საათზე. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები: ქართ[illegible] [illegible], საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის რვა კლასის [illegible] კამათი, რომელიც წინა სხდომაზე არ დასრულდა, ქართული ენის გრამატიკის სწავლების დაწყების შესახებ საშუალო სასწავლებელში. კამათი მეტად საგულისხმო გამოდგა; ორი დიამეტრალურათ ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრთა მიმდინარეობა აღინიშნა: ერთი, რომელსაც ეს საგანი საჭიროთ მიაჩნია დაბალ კლასებში I—IV ისწავლებოდეს სისტემატიურათ, მეორე, რომელიც გრამატიკის სისტემატიური კურსის სწავლებას აღნიშნულ კლასებში მავნებლათ თვლის და ერთი კურსი VII—VIII კლასებში გადააქვს. საგანი იმდენათ რთულია და მნიშვნელოვანი, რომ საჭიროა, რაც შეიძლება მეტმა დაინტერესებულმა, მცოდნე და გამოცდილმა პირმა მიიღოს მონაწილეობა მის გადაწყვეტაში.

დელეგატ მასწავლებელთა კრება

ბათუმის ოლქისა და ოზურგეთის მაზრის სკოლები ექვემდებარება ერთ სამოსწავლო ე. წ. მესამე ოლქს. ორივე ადგილას სამასამდე სკოლაა და მაშასადამე ერთ ინსპექტორს ხსენებულ სკოლის გაძღოლა ხელმძღვანელობა დიდათ გაუჭირდებოდა, ამიტომ წინადაც განზრახული იყო უნდა მოემატებინათ ერთი ინსპექტორი, მაგრამ რაკი სამისო თანხა არ იყო სამერმისოდ შემოინახეს. დღეს რაკი სამღვდელო სკოლებიც ერთ ინსპექციას ემორჩილება, ცხადია ერთი ხელმძღვანელი სულ ვერას გახდება. ოზურგეთის მაზრის სკოლების მასწავლებლები ძველი რეჟიმის დროსაც იყვნენ შეკავშირებულნი, ბათუმის ოლქის კი მაისიდან შეკავშირდნენ. ზოგიერთი მასწავლებლები იმ აზრის იყვნენ, რომ ბათუმის ოლქის მასწავლებლებს „სეპარატიულად" ემოქმედათ,—ცალკე სამოსწავლო რაიონი დაერსებინათ, ამ გაყოფა-განცალკევების მეთაურები იყვნენ ,,მამულიშვილები", რომლებსაც მხარს უმშვენებდნენ რუსები, ბერძნები და საზოგადოთ ისეთი ელემენტები, რომლებიც მუდამ მომხრენი იყვნენ ,,გათიშე და იბატონე"-ს პრინციპის. საბედნიეროთ გაიმარჯვება მათ ქვენა აზრს არ ხვდა წილად—სოციალ-დემოკრატ მასწავლებლებმა გაიმარჯვეს და 5 ნოემბერს ქ. ლანჩხუთში შესდგა დელეგატ მასწავლებლების შეერთებული კრება, კრებას დაესწრო 45 დელეგატი, თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. დ. ს. მგელაძე, მდივნებათ ბახტაძე (ს. ფ. რუხულის) და აპ. წულაძე (ს. დ. ქართულის). ამხ. გრ. ურატაძემ ქუთ. გუბ. აღმ. კომიტეტის სახელით ვრცელი და დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც მან კრებას გააცნო სკოლების მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში. მისი სიტყვიდან კრება გაერკვია, რომ სახალხო სკოლებში სრული ანარქია, სკოლებს პატრონი არა ჰყავს, ბევრი სკოლები მაგ. სვანეთში, აჭარაში და სხვა სკოლებს მასწავლებელი სულ არ ჰყავს. ამხ. ურატაძის სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი და კრებამ 27 ხმით 15 წინააღმდეგ მიიღო სოც. დემოკ. მასწავლებლების რეზოლიუცია: „რადგანაც საგუბერნიო აღმ. კომიტეტი თავის რაიონში ერთად ერთი ორგანოა ხალხის მიერ არჩეული და ნდობა გამოცხადებული, რომელსაც ევალება ხალხის ყოველგვარი საჭირ-ბოროტო კითხვის გადაჭრა, და რადგან სახალხო სკოლებიც თვით ხალხის არის, მაშასადამე მისი პატრონიც უნდა იყოს საგუბ. აღმ. კომიტეტი, ამიტომაც მესამე რაიონის მასწავლებელთა კრება ხსენებულ ორგანოს სრულს თავის ნდობას უცხადებს და მის უფლებათ სცნობს დირექტორ-ინსპექტორების არჩევას (და არა დანიშვნას), მხოლოდ მასწავლებელთა კავშირი იტოვებს უფლებას თავის მხრით კომიტეტს მიუთითოს, ურჩიოს (КОМАНДИРУЕТЪ) საინსპექტორო კანდიდატი".

ამის შემდეგ ისმება კითხვა: გაიყოს თუ არა რაიონი? კრებამ მსჯელობის შემდეგ 28 ხმით 11 წინააღმდეგ გადასწყვიტა: ,,მესამე რაიონი არ გაიყოს, არამედ არჩეულ იქნას ორი ინსპექტორი თანასწორი უფლებით და მათ შეეძლოთ მთელი რაიონის მთელი ურთიერთ შორის შეთანხმებით და სამუშაოს განაწილებით".

მესამე რაიონის ინსპექტორის ადგილას ამხ. გ. ურატაძემ საგ. აღ. კომ. სახელით დაასახელა ამხ. არსენ ს—ძე წითელიძე, რასაც მთელი კრება მხურვალე ტაშის ცემით შეხვდა და ერთ-ხმად იქნა ცნობილი ღირსეულ კანდიდატათ. ამხ. წითელიძემ კრებას მადლობა შესწირა, მაგრამ ,,ძველი თხიერი ახალ ღვინოს გააფუჭებსო" და ამ მოსაზრებით იუარა, დაჟინებული თხოვნის შემდეგ მაინც დაითანხმეს. კრება მცირე ხნით შეწყდა და ამხ. სოც. დემ. მასწავლებლები ცალკე გავიდნენ სათათბიროთ, თუ ვინ დაესახელებინათ მეორე საინსპექტოროთ. მცირე ხნის კამათის შემდეგ ჯგუფმა (ერთი ხმის წინააღმდეგ) დაასახელა ნაც.-დემ. მასწ. ილია ივ—ს ძე ფურაძე, რომელიც კრების განხილვის შემდეგ ერთხმად იქნა დასახელებული.

ამავე კრებამ გაარჩია სკოლებში მოწაფეების მიერ ფულების გადაპრანების საკითხი და დაგმო მოწაფეების მონაწილეობის მიღება მასწავლებელთა არჩევნებში, ამასთანავე გაკიცხა ის მასწავლებლებიც, რომლებიც ამა თუ იმ საშუალებით მოწაფეებზე გავლენას ახდენენ და თავის მხარეზე იბირებენ.

ასეთ შემთხვევას სხვათა შორის ჰქონია

ადგილი დანიშ. პირ. დაწყ. უმაღ. სასწავლებელში, რასაც მოყოლია გაფიცვა, კრებამ ამ არა სასიამოვნო მოვლენის ლიკვიდაცია მიანდო ადგილობრივ კულტურულ—სამოსწავლო რევოლიუციონურ ორგანოებს.

მასწავლებელთა დანიშვნის შესახებ კრებამ დაადგინა: მასწავლებელთა დანიშვნა ეკუთვნის სასკოლო კომიტეტს, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი ინსპექტორებს.

აჭარის სკოლების შესახებ კრებამ გამოსთქვა სურვილი დაუყონებლივ განახლდეს სწავლა და ამისათვის მოწოდებით მიმართონ მასწავლებლებს ნუ დაიზარებენ იქ წასვლასო. კრება ფრიად საქმიანი იყო და სრულ მწყობრად გათავდა კიდეც.

დამსწრე.

ჩვენი საარჩევნო ბიულეტენი

№ 1. Закавказскій Избирательный Округъ. № 1.

ГОЛОСУЮ ЗА СПИСОКЪ Россійск. Соціалъ-Демократ. рабоч. Партіи № 1.	ხმას ვაძლევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას № 1.
1. Жорданія Ной Николаевичъ	1. ჟორდანია, ნოე ნიკოლოზის ძე
2. Церетели Ираклій Георгіевичъ	2 წერეთელი, ირაკლი გიორგის ძე
3. Чхеидзе Николай Семеновичъ	3. ჩხეიძე, ნიკოლოზ სიმონის ძე
4. Гегечкори Евгеній Петровичъ	4 გეგეჭკორი, ევგენი პეტრეს ძე
5. Зурабовъ Аршакъ Герасимовичъ	5 ზურაბოვი, არშაკ გერასიმეს ძე
6. Рамишвили Ной Виссаріоновичъ	6. რამიშვილი, ნოე ბესარიონის ძე
7. Рамишвили Исидоръ Ивановичъ	7. რამიშვილი, ისიდორე ივანეს ძე
8. Чхенкели Акакій Ивановичъ	8. ჩხენკელი, აკაკი ივანეს ძე
9. Скобелевъ Матвѣй Ивановичъ	9. სკობელევი, მათე ივანეს ძე
10. Джибладзе Владимиръ Георгіевичъ	10. ჯიბლაძე, ვლადიმერ გიორგის ძე
11. Гсоргадзе Григорій Тимофеевичъ	11. გიორგაძე, გრიგოლ ტიმოთეს ძე
12. Смирновъ Михаилъ Николаевичъ	12 სმირნოვი, მიხეილ ნიკოლოზის ძე
13. Бекзадянъ Іосифъ Артемьевичъ	13. ბეკზადიანი, იოსებ არტემის ძე
14. Ломтатидзе Александръ Спиридоновичъ	14. ლომთათიძე, ალექსანდრე სპირიდონის ძე
15. Теръ-Газарянъ Газаръ Григорьевичъ	15. ტერ გაზარიანი, გაზარ გრიგორის ძე
16. Махарадзе Герасимъ Фомичъ	16 მახარაძე, გერასიმე თომას ძე
17. Арсенидзе Ражденъ Матвѣевичъ	17. არსენიძე რაჟდენ მათეს ძე
18. Бернштейнъ Эрикъ Адольфовичъ	18. ბერნშტეინი, ერიკ ადოლფის ძე
19. Рольке Артуръ Станиславовичъ	19. როლკე, არტურ სტანისლავის ძე
20. Тевзая Викторъ Васильевичъ	20 თევზაია, ბიქტორ ვასილის ძე
21. Малхазовъ Абрамъ Іоновичъ	21. მალხაზოვი, აბრამ იონას ძე
22. Мойсеенко Петръ Анисимовичъ	22. მოისეენკო პეტრე ონისიმეს ძე
23. Гварджаладзе Константинъ Егоровичъ	23 გვარჯალაძე, კონსტანტინე ეგორის ძე
24. Айолло Григорій Густавовичъ	24. აიოლლო, გრიგოლ გუსტავის ძე
25. Анджапаридзе Георгій Несторовичъ	25. ანჯაფარიძე, გიორგი ნესტორის ძე
26. Коренева-Жорданія Инна Ивановна	26. კორენევა, ჟორდანია, ინნა ივანეს ასული
27. Попандопулло Николай Савичъ	27. პოპანდოპულო, ნიკოლოზ სავის ძე
28. Гаглоевъ Георгій Алексѣевичъ	28. გაგლოევი, გიორგი ალექსის ძე
29. Фарніевъ Александръ Ивановичъ	29. ფარნიევი, ალექსანდრე ივანეს ძე
30. Торошелидзе Минадора Ефремовна	30. ტოროშელიძე, მინადორა ეფრემის ასული
31. Чумаковъ Антонъ Павловичъ	31. ჩუმაკოვი, ანტონ პავლეს ძე
32. Пирумовъ Богданъ Джаваловичъ	32. პირუმოვი, ბოღდან ჯავალის ძე
33. Эрадзе Георгій Павловичъ	33 ერაძე, გიორგი პავლეს ძე
34. Маневичъ Рувимъ Хамовичъ	34. მანევიჩი, რუვიმი ხამის ძე
35. Зурабянъ Агавани Даніиловна	35. ზურაბიანი, აღათი დანიელის ასული
36. Ковалевъ Михаилъ Андреевичъ	36. კოვალიოვი, მიხეილ ანდრიას ძე

გურიის მეურნეთა ყრილობა

ზარბაზნების გრიალში თავდება მეოთხე სასოფლო სამეურნეო წელიწადი. უმაგალითო მსოფლიო ომმა ისეთი არევ-დარევა შეიტანა წარმოების ყოველ დარგში, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობაში, ისეთ კრიზისს განიცდის ეს უკანასკნელი, რომ უნებლიეთ კითხვა იბადება, რას გვიქადის მომავალი თუ ასეთი კრიზისი, განსაკუთრებით მეურნეობაში, რამოდენიმეთ მაინც არ შევიმსუბუქეთ. რუსეთმა დაიწყო ომი, როდესაც არ ჰქონდა არავითარი გეგმა სასოფლო მეურნეობაში, არ არის ის ეხლაც და ასეთი უგეგმობა აყენებს ჩვენს სასოფლო მეურნეობას დიდს განსაცდელში, როდესაც რომ სხვა დარგი მრეწველობისა სარგებლობდა ყოველივე შეღავათებით, როდესაც მრეწველობა ახდენდა ძალთა მობილიზაციას, სასოფლო მეურნეობა მივიწყებული იყო. როდესაც მრეწველობაში არამც თუ ხელოსანი-მუშა, არამედ—უბრალო მუშაც არ გაყავდათ ჯარში და რჩებოდა მრეწველობაში, სასოფლო მეურნეობაში კი უკანასკნელი მუშა ხელსაც აგლეჯდენ გუთანს და ჯარში მიერეკებოდენ. ასე რომ, სასოფლო მეურნეობა დარჩა მოხუცებულების და ქალების ანაბარად, ასე ხდებოდა სისტემატიურად სამი წლის განმავლობაში. ამის შედეგი კი აშკარა იყო. თითქმის ნახევარზე მეტი მიდვრები რჩებოდა დაუმუშავებელი. მიმდინარე წელს, ამას დაემატა ჩვენში ის, რომ წვიმებმა ჩვენში და გვალვებმა ქართლ-კახეთში, მცირედი დამუშავებულიც გაამეოთხედ-გაამეხუთედა და სიმშილის აჩრდილი კარზე დაგვიყენა თავისი სიგრძე-სიგანით.

პურის მოთხოვნა გახდა საერთო ლოზუნგათ და ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ომის გათავების შემდეგაც ეს საკითხი მწვავეთ დაგვიდგება წინ, თუ ეხლავე სასოფლო მეურნეობას სათანადო ყურადღება არ მიექცა. განახლებული ქვეყანა მოითხოვს სოფლის მეურნეობის განახლებასაც. ამ დარგში ძველის გზით სიარული ყოვლად შეუძლებელია, დამღუპველია. ჩვენ გვრწამს, რომ ხალხი, რომელმაც შესძლო ძველი, დახავსებული წყობილების დამსხვრევა და მის ნანგრევებზე აშენებს ახალს ცხოვრებას, შესძლებს, სასოფლო მეურნეობაშიც შეიტანოს განახლებული შემოქმედებითი სული და ცხოვრების ახალ ფორმებში ჩამოსხმით, როგორც ადგილობრივი ფართო დემოკრატიული თვითმართველობა, სოფლის მეურნეობა სწორ გზაზე დააყენოს.

არ არის საჭირო ვამტკიცოთ, რომ ჩვენი ქვეყანა უმეტესათ სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა და ასეთიც დარჩება კიდევ დიდხანს და ამიტომ საჭიროა ამ დარგს სახალხო მეურნეობისას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ.

გურიაში მომუშავე აგრონომების ჯგუფმა გაითვალისწინა რა ყველა ეს, გადასწყვიტა მოიწვიოს ყრილობა მთელი ოზურგეთის მაზრის სოფლების წარმომადგენლებისა, ამავე მაზრის ადმ. კომიტეტის დახმარებით. ყრილობა მიზნათ ისახავს, გააცნოს ფართო მასსას წარმომადგენლების სახით, აგრონომიული დაწესებულებების მიზანი და დანიშნულება, გაიგოს ხალხის პროგრამი, გამონახოს შესაფერი გზა მომავალში აგრონომიულ დახმარების უმჯობესათ მოწყობისა და გააბას შემაერთებელი, დამაახლოვებელი ძაფი მაზრაში მომუშავე აგრონომებ და მცხოვრებთა შუა. ამავე დროს იქნება მოსმენილი მოხსენებები სხვადასხვა მეურნეობის დარგებზე.

გამომუშავებულია შემდეგი პროგრამმა მოხსენებისა:

1. საერთო პირობები მცხოვრებლების ცხოვრებისა მეურნეობის მხრივ. ა) საერთო დახასიათება ბუნების, ნიადაგის და სხვა პირობებისა ოზურგეთის მაზრაში. ტიპი მეურნეობისა და გავრცელება სხვადასხვა სამეურნეო დარგისა. ბ) დასურათება მაზრის სხვადასხვა კუთხისა.

2. საერთო დახასიათება აგრონომიულ დახმარებისა. როგორც მაგ., ა) საერთოდ აგრონომიულ მოქმედების ფორმა და საშუალებები სამეურნეო ცოდნის გავრცელებისა ხალხში. ბ) სამეურნეო სწავლა-განათლება და ამისათვის სამეურნეო სასწავლებლის გახსნის აუცილებელი საჭიროება ოზურგეთში. გ) საცდელი მინდვრების დანიშნულება და კერძოთ მიზანი და დანიშნულება ოზურგეთში არსებულ საცდელ დაწესებულების (ზვანის პლანტაციის).

3. ხვნა-თესვა. ადგილობრივი საშუალებები ხვნა-თესვისა და მისი რამდენათაც შესაძლებელია გაუმჯობესება.

მებაღეობა მევენახეობა. ა) დღევანდელი მდგომარეობა მევენახეობა მეღვინეობისა გურიაში. ბ) საშუალებები ადგილობრივ მებაღეობის ასაყვავებლად. გ) ძვირფას მცენარეულობის დარგის მდგომარეობა ადგილობრივ მებაღეობაში. მებოსტნეობა. ა) მებოსტნეობის მნიშვნელობა გურიაში. ბ) ზამთრის ბოსტნეულობის მნიშვნელობა, როგორც შემოსავლის წყარო.

4. ხე-ტყის მოვლა-მოშენება. ამ დარგის მდგომარეობა გურიაში და აუცილებლობა ტყის მოვლა მოშენების საქმის რიგიანათ დაყენების. ბ) სხვადასხვა გვარის ხეების გაშენების მნიშვნელობა მეურნეობაში.

5. ოთხ-ფეხა პირუტყვების მოვლა-მოშენება. ა). ადგილობრივი ოთხ ფეხა პირუტყვ და მერძეობა. ბ) შინაური ფრინველის მოვლა მოშენება. დ) მეფუტკრეობა-მეაბრეშუმეობა. ამ დარგის მდგომარეობა და მისი მოვლის საშუალებების გაუმჯობესობა.

6. კოოპერაცია. კოოპერაციის დანიშნულება და მნიშვნელობა ადგილობრივ მეურნეობაში.

სიეზდის მომწყობი კომისია, მოგმართავთ თქვენ მოქალაქენო და გთხოვთ მიიღოთ აქტიური მონაწილეობა როგორც პირადი დახმარებით, აგრეთვე მოხსენებების წარმოდგენით.

თათბირი გაიხსნება 10 ნოემბერს, დღის 10 საათზე, ქ. ოზურგეთში თეატრის შენობაში.

სოც.-დემ. პარტიაში

ქ. ხაშური. 31 ოქტომბერს შესდგა მორიგი კრება პარტიული კომიტეტისა. დღიურ წესრიგში განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: ქალაქის არჩევნები, თფილისში გასაგზავნი ფულის შესახებ, ამხანაგების მოხსენებები დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ სოფლად. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ნ. იმნაიშვილმა, რომელმაც მიულოცა ამხანაგებს ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვება საქალაქო არჩევნებში. იმსჯელა რა კომიტეტმა ამის შესახებ თავის რეზოლიუციაში გულის წყრომა და აღშფოთება გამოსთქვა ესერების და ესფერების არჩევნებში უმგვანო მოქმედების წინააღმდეგ. ვინაიდან დამფუძნებელი კრების არჩევნები დიდ ხარჯს თხოულობს და საარჩევნო კომპანიის სასარგებლოთ წაყვანისთვის კი საჭიროა თანხა, კომიტეტმა გადაწყვიტა გაუგზავნოს თფილისის საამომრჩევლო კომისიას 400 მ. ნ. და აგრეთვე მხარის ცენტრალურ კომიტეტს 200 მანეთი. დამფუძნებელი კრების კამპანია დაწყებულია სოფლად. ხაშურის ს. დ. კომიტეტმა შეადგინა პროპაგანდისტთა ჯგუფი 40 კაცი, რომლებიც სისტემატიურად დადიან სოფლად, ეწევიან აგიტაციას, აარსებენ საამომრჩევლო კომისიებს და სხვა. კომიტეტმა დაანაწილა პროპაგანდისტები ქართლის სხვადასხვა სოფლებისთვის და მისცა შესაფერი დირექტივები. ამხ. პროპაგანდისტები გულმოდგინეთ შეუდგენ მუშაობას. 31 ოქტომბრის სხდომაზე მოხსენება გააკეთეს ზოგიერთმა მათგანმა. ხცისის საზოგადოებიდან ეგნ. ფიჩულაიამ, იტრიის დ. ლეჟავამ, ოსიაურის მ. ჭყონიამ, ალის და დირბის საზოგადოებიდან აპოლონ ჯორბენაძემ. საერთოდ მომხსენებლების სიტყვებიდან სჩანს, რომ სულიერი განწყობილება გლეხობისა სასიხარულოა, ყველა სიხარულით ეგებება დამფუძნებელ კრების არჩევნებს და მის ს. დემოკრატიის სასარგებლოთ ჩატარებას ცდილობს. ეჭვი არაა, ქართლის გლეხობა ს. დემოკრატიას მისცემს ხმას.

ვარ. მანელი.

მუშათა შორის

მთავარი სახელოსნო. 4 ნოემბერს მთავარი სახელოსნოს და დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ამხ. ე. გეგეჭკორმა გააკეთა ვრცელი მოხსენება—„მომენტი და დამფუძნებელი კრება“. მან ნათლად და გარკვეულად დაახასიათა რა დღევანდელი შემაძრწუნებელი მდგომარეობა რუსეთის რევოლიუციისა, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ მუშათა და მაშვრალთა კლასია დაინტერესებული, მოუწოდა მოეთხოვნათ შეთანხმებით ერთფეროვანი დემოკრატიული მართველობის შედგენა, რომელშიაც უნდა შევიდენ დაწყებული ბოლშევიკებიდან, ვიდრე სახალხო სოციალისტებამდის. მთელი კრება ერთი პატარა ჯგუფის გამოკლებით აღტაცებით ეგებება ამ წინადადებას. ამხ. გეგეჭკორის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ჩაწერილია ოთხი ორატორი, სიტყვას იღებს ბოლშევიკი აფიცერი კორგანოვი, თავიდანვე იწყებს დემაგოგიას, უვლის გვერდს დასმულ საკითხს და ამბობს: ამხანაგებო! ე. გეგეჭკორმა აქ დაგიხატათ აუწერელი მდგომარეობა, როგორც რუსეთის რევოლიუციის, ისე პეტროგრადის ძმათა სისხლის ღვრის შესახებ. ეს სულ ტყუილია. არავითარი სისხლი პეტროგრადში არ დაღვრილა, ჩვენთვის არაა საშიში კალედინ კაზაკ „პოგრომები“, ჩვენ სულყველას გავუმკლავდებით და ვინც გაბედავს რამე, გავსრესავთო. შემდეგ ეხება ამხ. კ. წერეთელს და ამბობს, რომ წერეთელი არის ბურჟუაზიის მოკავშირე, გამყიდველი და მოღალატე. ამ სიტყვების შემდეგ კი ველარ მოითმინა კრებამ და ასტეხეს ყვირილი, გააჩუმეთო. კორგანოვის შემდეგ სიტყვას იღებს კიდევ ბოლშევიკი თედ. კალანდაძე, ისიც მხარს უვლის საკითხს და რადგანაც ნახევარ საათის განმავლობაში არსებითი არაფერი სთქვა, ხალხი თხოულობს გაჩუმებას, მაგრამ კალანდაძე არ ემორჩილება და მაინც ათავებს სიტყვას. მესამე სიტყვას იღებს კიდევ ბოლშევიკი აფიცერი ლოგინოვი, მაგრამ ხალხი ყვირის—ნუღარ მისცემთ სიტყვასო. თავმჯდომარემ უყარა კენჭი შესწყდეს კამათი (რადგან წინადადება იყო შემოსული) და გადაწყდა დიდი ხმის უმეტესობით, რომ კამათი შეწყვეტილია. მაგრამ ის არ ემორჩილება და ლაპარაკობს, რასაც მოჰყვა აურზაური, უყარეს კიდევ მეორეთ კენჭი მიეცეთ ლაპარაკის ნება თუ არა, მაგრამ მეორეთაც თითქმის ერთხმათ უარყვეს წინადადება. სიტყვა ეძლევა მომხსენებელს ამხ. ე. გეგეჭკორს, ის ადგია ისევ იმ აზრს, რომ ხალხმა მოითხოვოს დამფუძნებელი კრება იყვეს მოწვეული უეჭველად დანიშნულ ვადაზე და ხალხის რისხვა იმ ძალას, ვინც ამას წინააღუდგებაო, მანამდე კი უნდა შედგეს ერთფეროვანი სოციალისტური მართველობაო. სხვათა შორის, შეეხო ამხ. კ. წერეთლის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს და სთქვა ამხ. კ. წერეთელი თავის სიცოცხლეს და არსებობას სწირავდა და სწირავს თავისუფლებას და, როდესაც ის სულს დაფავდა კატორღაში, ზოგი იმაზე მოლაპარაკე აფიცერი ჩინ-მედლების და მსახურებას ელტვოდაო. არა, ამხ ბოლშევიკებო, ამისთანა ცილის წამება თქვენის მხრივ წერეთელზე სირცხვილიაო, ეს იყო საკმარისი, რომ ბოლშევიკების ლიდერებს ობსტრუქცია მოეხდინათ და იმდენი თავხედობაც კი გამოიჩინეს ბ. აფიცრებმა, რომ ამხ. გეგეჭკორზე მუშტებით იწიოდენ. აფიცერი ლოგინოვი იღებს სიტყვას წესრიგისათვის და ტრიბუნიდან უყვირის თავის თანამოაზრეებს: ამხანაგებო! აქ ჩვენ შეურაცხყოფა მოგვაყენეს და, იმედია, ჩვენ მაგიერ პასუხს თქვენ გასცემთო. რა არის ეს, თუ არა მუშათა გათიშვა? ამით იმან მოუწოდა სახელოსნოს მუშებს ერთი მეორის წინააღმდეგ. არა, ბ. აფიცერო, სცდებით. მუშები და ისიც უმთავრეს სახელოსნოში ისე ბრმები ნუ გგონიათ, რომ თქვენ ასეთ „ლოზუნგებს“ აყვენ. იმედი გვაქვს, რომ სახელოსნოს ბოლშევიკი ამხანაგებიც კი ხმას აიმაღლებენ თქვენი ასეთი უხეში გამოსვლის წინააღმდეგ. ამ ინციდენტის შემდეგ, რადგან ყოვლად შეუძლებელი შეიქნა წესიერების აღდგენა, თავმჯდომარე ამხ. მ. ძამანაშვილმა კრება დახურა და მოუწოდა ამხანაგებს ნაძალადევის თავისუფლების მოედანზე მოეყარათ თავი, იქვე მიიწვიეს ამხანაგი ევ. გეგეჭკორი, რაზედაც დიდის სიამოვნებით დასთანხმდა და იქ იქნა ერთხმათ მიღებული რეზოლიუცია ამხ. ევ. გეგეჭკორისა, იგივე რეზოლიუცია მიღებული იყო ამიერკავკასიის ცენტრალურ კომიტეტში. ამ ინციდენტის შემდეგ ჩვენ, მოწინავე მუშები უმთავრეს სახელოსნოსი, წინადადებას ვაძლევთ ყველა ფრაქციების წარმომადგენლებს ნუ მოუწოდებენ მუშებს გათიშვისა და მაზარალებელი ფრაზებით, რომელსაც შეუძლია ბრმა და ბნელ მასსაში გავლენა იქონიოს. „ბორბალს“ ვთხოვთ ეს წერილი გადაბეჭდოს.

ამხ. მინდობილებით **მ. ძამანაშვილი.**

(ამ წერილზე ხელი უწერია 35 მუშას).

ტფილისი. დღეს წარმოუდგენელ გაჭირვებაში არიან თფილისის ფურნეებში მომუშავე მუშები. მათთვის არ არსებობს ნორმალური დასვენება და ადამიანური მოპყრობა; „ხაზეინებს“ თუ არ მოეწონათ მუშების რაიმე ყოფაქცევა, ქუჩური ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებიან და მუქარით მიმართავენ მათ. დღეს, როდესაც ცხოვრება საზღაპროთ გაძვირდა, ყოველ საქონელზე წარმოუდგენელი ფასები დადეს,—ერთი წყვილი 20—25 მან. ფასობს, სხვა საჭირო საქონელიც ერთი ათად გაძვირდა, მუშების ცხოვრება უფრო და უფრო გაუარესდა, უფრო და უფრო აუტანელი შეიქნა, მიუხედავათ იმისა, რომ მუშებს საერთოდ ჯამაგირი გაუდიდეს, ზოგიერთმა „ხაზეინებმა“ სხვადასხვა ხრიკებით ჯამაგირის დაკლებაც მოინდომეს. ფურნეებში მომუშავეთა უმეტესობა თვეში დღეს ღებულობს 90—100 მანეთს და გაუმაძღარმა „ხაზეინებმა“ ამის შემცირებაც მოიწადინეს. განა შეუძლია მუშას თავი დაიკმაყოფილოს დღევანდელ დროში 100 მანეთით თვეში? ამ ასი მანეთით ბინის ფული გადიხადოს, ცოლშვილი შეინახოს, თუ თავისი თავი დაიპუროს. ამას ჩვენი „ხაზეინები“ არავითარ ანგარიშს არ უწევენ და საქმეს როგორც მოესურვებათ ისე სწყვეტენ. დროა. ბ-ნო „ხაზეინებო“ ამ გვარ მოქმედებას თავი დაანებოთ მუშების წინააღმდეგ. გეყოფათ ისიც, რაც ძველ დროში მუშებს საკუთარ ლუკმას პირიდან აცლიდით და მშიერს სტოვებდით. დროა, მუშებო, გამოიღვიძოთ და თქვენი უფლება დაიცვათ. თქვენ უფლება გეძლევათ დღეს ეკონომიური მოთხოვნილება წარუდგინოთ „ხაზეინებს“ და მით თქვენი აუტანელი პირობები ცოტათ მაინც გააუმჯობესოთ.

რაჟ. ქლენტი.

ქ. განჯა. სასტუმროების, რესტორანების, კლუბების, სასადილოების და „ჩაიხის“ მოსამსახურეთა გაფიცვა. ზემორე მოხსენებულ მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ 17 ოქტომბერს თანახმათ საზოგადო კრების დადგენილებისა დაუგზავნა ყველა აქაურ სასტუმროების, რესტორანების, სასადილოების, ჩაიხის პატრონებს და აქაურ კლუბების მამასახლისთა საბჭოებს 19 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნილებები, სადაც აცნობებდა, რომ უკეთუ არ იქნება დაკმაყოფილებული მოთხოვნები, მოსამსახურენი 23 ოქტომბერს სამუშაოთ არ გამოვლენო. დრო გავიდა, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ ინება მოლაპარაკება გამგეობასთან, გარდა სადგურის პირველი და მეორე კლასის ბუფეტის მოიჯარადრისა, რომელთანაც მოლაპარაკების შემდეგ მორიგება მოხდა. 23 ოქტომბერს მოსამსახურენი არ გამოვიდენ სამუშაოთ და ამრიგათ დაიწყო გაფიცვა. გაფიცვის გამოცხადებისათანავე ხაზეინებმა მიმართეს ყოველივე საშუალებას, რომ როგორმე ჩაეშალათ ის და რამდენიმეთ თავის მიზანსაც მიაღწიეს. გაფიცვის მეორე დღესვე გაჩნდენ შტრეიკბრეხერები, რომლებსაც თანდათან მიემატა ჯერ მუსულმანი მოსამსახურენი, შემდეგ სომხები და რუსის მოსამსახურე ქალები. დარჩენ გამარტოვებულნი ქართველი მოსამსახურენი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, გაფიცვა გრძელდება. მოთხოვნების მთავარი მუხლები დააკმაყოფილეს და მუშაობას შეუდგენ „ჩინოვნიკთა“ კლუბში. გრძელდება გაფიცვა სასტუმრო „პეტროგრადში“, „ბომონდში“ და „ევროპაში“. საზოგადო საკრებულოს კლუბში მუშაობენ მხოლოდ შტრეიკბრეხერები დარაჯების მფარველობით. დანარჩენნი კი გაფიცვას განაგრძობენ. ხაზეინების დიდი უმრავლესობა რეაქციონერთა ბანაკს ეკუთვნიან. ამ ჯენტლმენებს დავიწყებიათ, რომ ჯერ კიდევ რუსეთში რევოლიუცია არ დამარცხებულა და ნაადრევია მათი ლხენა. აღსანიშნავია ერთი ფაქტი: სხვა მოთხოვნათა შორის არის ერთი მუხლი მოთხოვნისა, სადაც მოსამსახურენი თხოულობენ სრულიად განთავისუფლებას მუშათა დღესასწაულის დღეს, პირველ მაისს. როცა საზოგადო კრებაზე იყო გასარჩევათ დასმული ეს მოთხოვნები და ამ მუხლს მიადგენ, ერთმა წევრთაგანმა ექიმმა რაფიბეგოვმა განაცხადა: „ამ მუხლზე ლაპარაკიც ზედმეტია, ვინაიდან პირველ მაისამდის კარგა ხანია და იმ დროისთვის პირველ მაისის დღესასწაულზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნებაო“. არა ნაკლები გამოდგა სასტუმრო „ბომონდის“ პატრონი ბ-ნი ჯლამაძე. ის თავის თავს სოციალისტს უწოდებს. თუ როგორი სოციალისტია, ამას მოწმობს მისი მოქმედებები, ლანძღვა-გინებით და ათასგვარ ხრიკებით უმასპინძლდება მუშათა პროფესიონალურ კავშირს, ეძებს შტრეიკბრეხერებს და მით ცდილობს დაამარცხოს მოსამსახურენი. რაც შეეხება დანარჩენ მის მოქმედებას, ამას მე მგონია თვით კავშირი გასცემს პასუხს და შესაფერ მსჯავრსაც დასდებს. დანარჩენ სასტუმროების პატრონებზე, როგორიც არიან ბ-ნნი კარაკოზოვი და მაილოვი, ლაპარაკიც ხომ არ ღირს, თუმცა უკანასკნელს თავის თავი, ბ-ნ ჯლამაძის არ იყოს, სოციალისტ-რევოლიუციონერათ მოაქვს. ჩემის აზრით ამ სიტყვას პირველი ნახევარი რომ შესცვალოთ სიტყვით „კონტრ“ გამოვა ნამდვილი სახელი ბ-ნ მაილოვისა. შტრეიკბრეხერებზე დღეს არას ვსწერ და როცა გაფიცვა გათავდება, მათ სახელსა და გვარს ვაცნობებ მკითხველ საზოგადოებას, ხოლო კავშირი თავის მხრით, ჩემის აზრით, დაუგზავნის მათ სიას ამიერკავკასიის ყველა პროფესიონალურ კავშირებს.

გალია.

პროვინციის ცხოვრება

ჯუმათ-უბლა იბალაურის და ბაღდების (გურია) სოფლებ შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების სკოლის გარშემო მომრიგებელი კამერა, დასახელებულ სოფლების მიერ არჩეული,—ს. მელიქიშვილი, კ. ღლონტი და გ. კოპლატაძე, ალ. შარაშიძე არ დასწრებია, 15 ოქტომბერს შეიკრიბა სად. ჯუმათში. კამერის თავმჯდომარეობა ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მინდობილი ჰქონდა ვ. კალანდარიშვილს. კამერა დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს: მოუსმინა დაინტერესებულ მხარეებს, მიიღო ყოველი გვარი განცხადებები, შეკრიბა საჭირო მასალები და დაადგინა: ადგილების, სოფლების მდებარეობის დათვალიერება, მაგრამ, ვინაიდან უკვე გვიანი იყო, უკანასკნელი, სოფ. მდებარეობის დათვალიერება და აგრეთვე სხდომის გაგრძელება, გადადებული იქნა 18 ოქტომბრისათვის.

18 ოქტომბერს კრებამ ისევ სად. ჯუმათში მოიყარა თავი და დილა ადრიან გაემგზავრა ადგილების დასათვალიერებლად. შემოიარა ყველა დაინტერესებული სოფლები, გზა და გზა დაათვალიერა სკოლები და დამატებითი ცნობები და მასალები შეკრიბა და სადილობით დაბრუნდა სად. ჯუმათში და შეუდგა დაგროვილი მასალების გადასინჯვა-გამოკვლევას, საკითხის ყოველმხრივ გარკვევა-გაშუქების შემდეგ კითხვები ასე დააყენა: 1) მიექცეს ყურადღება ჩოჩხათის ნაწილს სოფ. ჩანჩეთს, ს. გულიანს თუ არა? რადგან ს. ჩანჩეთში—გულიანის მახლობლათ უკვე ახლო მომავალში იხსნება უფრო სასარგებლო და დროის შესაფერი სამეურნეო სასწავლებელი, ამიტომ ამ მხრივ ჩანჩეთი და გულიანი დაკმაყოფილებული არიან და საჭიროება არ არის ამ კუთხეში უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი გაიხსნას. 2) გაიხსნას ერთი სკოლა თუ ორი? კრებამ ერთსულოვნებით გამოსთქვა პრინციპიალური მოსაზრება: გაიხსნას ერთი სასწავლებელი, ვინაიდან ორის შენახვა საზოგადოებას არ ძალუძს, მაგრამ ვინაიდან საქმე მეტად გამწვავებულია, მცხოვრებლებთა შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილი და საქმე მეტათ გამწვავებულია, რის განელება ძალიან ძნელია, მით უმეტეს ორივე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში მეცადინეობა სწარმოებს, ამიტომ კამერა სტოვებს ორ სკოლას ერთის შემოღებამდე: ერთის ეწერის ორკლასიან სასწავლებლის (ბაღდებში) შენობაში, მეორეს კი იბალაურში—იქ, სადაც ახლაა.

კამერის თავმჯდომარე: **ვ. კალანდარიშვილი.** წევრები: **ს. მელიქიშვილი და გ. კოპლატაძე.** მდივანი: **კ. ღლონტი.**

სოფ. ახალშენი (გურია). ორ ნოემბერს მოხდა ახალშენის მომხ. საზოგადოების „შეღავათის“ წევრთა არაჩვეულებრივი კრება. სარევიზიო კომისიის წევრი რ. ჭანიშვილი აკეთებს მოხსენებას სარევიზიო კომისიის და გამგეობის შხრით. მოკლეთ აცნობს კრებას რვა თვის ანგარიშს. ამ ხნის განმავლობაში გადაუბრუნებია ოცდა ცამეტი ათასი მანეთის საქონელი, მოგება 5000 მანეთამდე ხარჯების გარდა. საზოგადოებას წმინდა მოგებაში დარჩენია 2300 მანეთამდე. კრება ანგარიშის დამტკიცებამდე შეეხო მეორე კითხვას—გამგეობის გადაყენებას. მაგრამ ს. ჭანიშვილი აცხადებს: გამგეობა კარგად მუშაობს, მხოლოდ საზოგადოებას გაუჩნდენ მტრები და ძირს უთხრიან საქმესო. აღსანიშნავია, რომ გამგეობაში არის ორი წევრი ვაჭარი, ვაჭრის გამგეობაში დაშვება, ეს იმას ნიშნავს, რომ მტერს გაუღო კარები და შეუშვა სახლში. ერთი არის ქ. მელუა და მეორე-კი გამგეობის თავმჯდომარე და საქონლის მომწოდებელი ერასტი ჩიგოგიძე, რომელიც ასაღებს სოფლის ნაწარმოებს—პარკს, თუთუნს, თხილს და სხვა ასეთებს. წელს საზოგადოებამ დაარსა მეთხილეთა კავშირი. აზრათ ჰქონდათ გაეხმოთ თხილი და ისე გაეყიდა. საქმის წარმოება საზოგადოებამ მიანდო კოოპერატივის გამგეობას, მაგრამ ერასტიმ აქ იხმარა სწორეთ ვაჭრული ხრიკები და თავის აგენტების წყალობით ჩაშალა თხილის კავშირი და თხილი კი სავსებით ჩაიგდო იმან ხელში 10 მ. და 80 კაპ. როცა მას შეეძლო ხალხი შეეჩერებია სესხით ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობისაგან და თანაც ოქმში ნათქვამი იყო, თუ ვინმე თხილს გაყიდის კავშირს გარეშე, ხელის მომწერლები ჯარიმათ იხდიან 100 მანეთს დამრღვევი პირობისათ. შემდეგ რამოდენიმე დღისა ვხედავთ თხილის ფასმა საშინლათ აიწია. ხალხი მიხვდა თავის შეცდომას და მოსთხოვეს ერასტის მოემატებია ფასი რამოდენიმე მაინც. მან, როგორც ამბობენ 52 მანეთამდე გაყიდა ფუთი. მაგრამ მან ხალხს უარით უპასუხა. მას შემდეგ კრებამ რამდენჯერმე წინადადება მისცა მოემატებია ფასი, მაგრამ ყოველთვის უარი უპასუხა. შემდეგ ამისა მოხდა ჩოხატაურის რაიონის ვაჭართა და მეთხილეთა შეთანხმებულად მედიატორების არჩევა, რომლის გადაწყვეტილება ორივე მხრისათვის სავალდებულო იყო. მედიატორებმა გადასწყვიტეს ოცდა სამ მანეთში გასწორებოდნენ ვაჭრები ფუთ თხილში მეთხილეებს, თანაც დადგენილებაში ნათქვამია: რომელი ვაჭარიც გაყიდის ადრე თხილს, მან არ დაუკლოს სხვის გაყიდვას და დააკმაყოფილოს ვისგანაც იყიდა ახლა ოცდა სამ მანეთში. მაგრამ ერასტიმ თუმცა ყველაზე ადრე გაყიდა თხილი, მაინც დაარღვია პირობის ის მუხლი და უცდის სხვა ვაჭრებს. ამის შემდეგ საზოგადოებამ მოითხოვა იმათი გამგეობიდან გადაყენება და მათ ადგილზე ახლის არჩევა, მაგრამ როცა კენჭი უყარეს 42 კაცი იყო დატოვების მომხრე 24 კი მსურველი გამოცვლის. ასე რომ, უმრავლესობის გადაწყვეტილებით ისევ ძველები დარჩენ გამგეობაში, რამაც დიდი აურზაური ასტეხა ხალხში და ის 24 პირი იძულებული ხდება სრულიად მიანებონ თავი ახალშენის კოოპერატივს.

მათე დოლიძე.

ფასანაური (დუშეთის მაზრა). ქალთა საზოგადოება უღრმეს მადლობას უძღვნის თფილისის „ქართველ ქალთა საზოგადოებას“ და მის თავმჯდომარეს განდეგილს, რომელმაც 1000 მ. შემოსწირა ფასანაურში ქალთა სახელოსნო სასწავლებლის დასაარსებლად, სადაც ქალები შეისწავლიან შალის ძაფიდან ყოველ-გვარ ქსოვილებს, მასთან ჩითების, ტილოების, ხალიჩების ქსოვას და ყოველგვარ ხელობას, რომელიც მისცემს მათ სახსარს ცხოვრებისას და რომლის ცოდნა აუცილებელი საჭიროა ოჯახის ქალისათვის, ხელობასთან ერთად სწავლა-განათლებასაც მიიღებენ.

სასახელოა და სანაქებო არიან ყველა ის ქართველი ქალები, რომლებიც ხელს გაუწვდენენ ბნელში მყოფ სხვა ქართველ ქალებს და ეცდებიან გააუმჯობესონ მათი ბეჩავი მდგომარეობაც. ამ მოქმედებაში ქართველ ქალთა საზოგადოება წარმოადგენს ბრწყინვალე მზეს, რომელმაც ერთი თავისი ნათელი სხივი გაუშვა უბნელეს საქართველოს კუთხისაკენ, რომელიც ბუნებრივი სიმდიდრით და სილამაზით შემკობილია, მაგრამ მისი მცხოვრებლები კულტურულათ ჩამორჩენილი არიან.

ფასანაურის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე ა. ფოცხვერია-ჩხენკელი.

შორაპნის დეპო. 5 ნოემბერს ადგილობრივ სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის ინიციატივით მოწვეულ იქნა მიტინგი, სადაც თავი მოიყარა ყველა მუშა-მოსამსახურეებმა და გლეხებმაც. მიტინგზე ხალხმა თავი მოიყარა დროშების გარშემო, და დროშას კი შეიარაღებული მუშათა გვარდია ი. ჯუღელის წინამძღოლობით გარს ერტყა. მიტინგის საგანი იყო თანამედროვე მომენტი და დამფუძნებელი კრების არჩევნები. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გრ. კალაძე, თანამედროვე მომენტზე რუსულათ მოხსენება გააკეთა ამხ. დ. კაპანაძემ, ქართულათ—ამხ. ხინაშვილმა, მათ მკაფიოთ გაარკვიეს საკითხი და მოუწოდეს დემოკრატიას ფხიზლათ ადევნოს თვალ-ყური რევოლიუციის მიმდინარეობას. დამფუძნებელი კრების არჩევნების და ს. დ. პლატფორმაზე ილაპარაკეს ამხ. პ. მეტრეველმა და ხინაშვილმა ქართულათ, ხოლო მ. ფერაძემ რუსულათ. დაწვრილებით გაარკვიეს რა საკითხები, მოუწოდეს დამსწრეთ ს.-დ. მედგარ და შეუპოვარ რევოლიუციის სასარგებლო ბრძოლაზე,—მოუწოდეს ხმა მიეცათ ს.-დ. პარტიის კანდიდატებისათვის: იმ პარტიისათვის, რომელსაც სისხლით და ძვლებით უშენებია და კიდევაც აშენებს თავისუფლების ციხე-სიმაგრეებსო. სხვათა შორის, ილაპარაკა ს.-ფედ. პარტიის სახელით მამალაძემ. მან თავი შეიკავა ჩვეულებრივ ს.-ფედერალისტურ ინსინუაციებისაგან. გამოილაშქრა აგრეთვე ერთმა ოთხი დღის წინათ (როგორც იქვე სთქვეს) გაბოლშევიკებულმა ჭიპაშვილმა. სამწუხაროთ, დიდებული სამსახური გაუწია ამხ. ბოლშევიკებს, ყალბათ გაარკვია დამსწრეთ ბოლშევიკების პოზიცია. ამის გამო ზოგიერთი ამხ. ბოლშევიკი იძულებული იყვნენ გამოეცხადებიათ ჭიპაშვილი ოთხი დღის ბოლშევიკის „ნოვობრანეცათ“; მიტინგით ხალხი კმაყოფილი დარჩა, საერთოთ ყვირილა-შორაპნის დეპოს მუშები რევოლიუციის ავანგარდათ ითვლებოდენ და ეხლაც ასეთი ელფერი აზის მათ მოქმედებას. შორაპანში მოწინავე მუშები ენერგიულათ ეწევიან ორგანიზაციულ მუშაობას.

ხაქარელი მ.

სოფ. ძეგვი. (ქართლი). სოფელი ძეგვი თფილისიდან მდებარეობს 27 ვერსის მანძილზე. მცხოვრებთა რიცხვი 1,500 სულზე მეტია. სოფელი კულტურულათ ძლიერ ჩამორჩენილია. არის სამრევლო სკოლა, მაგრამ უმასწავლებლოთ, მისი კარი გამქრალია, მით მომავალ თაობასაც სიბნელეში აღზრდა მოელის. გაზეთი ამ სოფელში იშვიათი ხილია. არსებობს კოოპერატიული დუქანი და სასოფლო სასადილო, რომლებითაც მცხოვრებნი ცოტა შეღავათი ექმნებათ. საზოგადოთ კი, სასოფლო ანგარიშები უყურადღებოთაა. სოფლის კომისარის ხელშია სასოფლო სასადილოს და მთელი სოფლის სასურსათო გასავალ-შემოსავალი სრულიად უკონტროლოდ, რასაც შეუძლია ბოროტის დიდი არევ-დარევა გამოიწვიოს. არსებობს სოფლის კომიტეტიც უფრო სახელად, საქმით დღემდე არაფერი არ გაუკეთებიათ, მიუნდვიათ ყოველივე საქმე თავიანთ შორის არჩეულ კომისარისთვის და ერთხელაც არ მოუთხოვიათ მისთვის პასუხი. რაც შეეხება დამფუძნებელ კრების საარჩევნო მუშაობას, ყველანი თანაგრძნობით ეკიდება საქმეს. არჩეული ჰყავთ საარჩევნო კომისია.

5 ნოემბერს აქ შესდგა სასოფლო ყრილობა. დაესწრო თფილისელი ამხანაგი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა და რ. ს.-დ. მ. პარტიის მასთან დამოკიდებულება, აგრეთვე ილაპარაკეს აქაურმა ყოფილმა მასწავლებელმა და ს.ხ. მოწინააღმდეგე არავინ აღმოჩნდა.

იყო აგრეთვე შეკითხვა 1 ოქტომბერს კათალიკოზის კურთხევის დროს მცხეთაში „ძველის დროშის“ გაჩენის შესახებ. გამოირკვა შემდეგი: დროშა, რომელიც ინახება სასოფლო შენობაში მცხეთაში, იმ დღეს წაღება არავის არ დაუდგენია, იმ დროს არც კომისარი და არც კომ. წევრები იქ არ ყოფილან. ამ დროს მისულან რამდენიმე (ოთხი თუ ხუთი) სოფლის ყმაწვილები და სრულიად დაუკითხავათ და სოფლის გაუგებლათ წაუღიან მცხეთაში, რისთვისაც ამ მოქმედებისთვის მთელმა სოფლის ყრილობამ თავისი უკმაყოფილება გამოსთქვა.

დასასრულ შემდეგი რეზოლუცია მიიღო ყრილობამ, დამფუძნებელ-კრების არჩევნებში ხმას აძლევენ რ. ს.-დ. მ. პ. №-1, მომავალ სოფ. ყრილობას მოხსენდეს სრული ანგარიში კომისარისა და კომიტეტისგან, დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას მასწავლებელი, რომელიც შესძლებს სოფლის დახმარება გაუწიოს, საჭირო სოფ. მწერალიც ნდობით აღჭურვილი, გამოწერილ იქნას გაზეთი „ერთობა“. ბოლშევიკების გამოსვლა კრებამ აღიარა უდროულად.

მუშა შოვლი.

წერილი რედაქციის მიმართ

გარდაცვალებული საყვარელი დედის ელისაბედ დიმიტრი ნაცვლიშვილის ასულის დაკრძალვაზე ქელეხი არ გადაგვიხდია. ის თანხა, რომელიც ჩვენის აზრით ქელეხზე დაიხარჯებოდა, ასე გავანაწილეთ: 300 მანეთი ანაგის სახალხო სახლის ასაშენებელ ფონდისთვის, 100 მანეთი სიღნაღის მუშათა დეპუტატების საბჭოს სასარგებლოთ და 100 მანეთიც ს. დ. პარტიული სტამბის სასარგებლოთ. ამასთანავე გაზეთში 100 მან.*)

ძმები: **კონსტანტინე, სტეფანე, ნიკო, ვლადიმერ, სიმონ და მათე ახმეტელაშვილები.**

ცნობები

ჯარისკაცების შესახებ.

ერთ წელზე მეტია რაც უკვალოთ დაიკარგა ჯარისკაცი შალვა ლუკას ძე ძიმისტარაშვილი, რომელიც მსახურებდა 151 სევასტოპოლის პოლკში, по прямой 7,623. გაწვეული იყო 1917 წ. 18 იანვარს. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გთხოვთ მაცნობოთ სად. სუფსაში, სოფელ ჩოჩხათში ერმილე ჩხარტიშვილს.

— ჯარისკაცი კონსტანტინე კუცია მსახურებდა მე 18-ტე კავკასიის მსროლელ პოლკში მეათე როტაში. აგერ ათი თვეა მისი არაფერი ვიცით მის შესახებ, თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობოს შემდეგი ადრესით: აბაშა, ოლიფანტე კუციას.

— ჯარისკაცი მიხეილ სოლომონის ძე დონდაძე მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში მე 19-ტე კავკასიის მსროლელთა პოლკში, „ნესტროევოი“ როტაში. ცხრა თვეა რაც მისი ამბავი არ იციან მისმა მშობლებმა და ცოლშვილმა, გთხოვთ ვინც იცით მის შესახებ რამე, გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: ქალ. ხაშური (გორის მაზრა), რკინის გზის დეპოს მუშას დათიკო გოცირიძეს.

— სამი წელი იქნება, რაც მშობლებმა არ იციან სად იმყოფება სალდათი მიხეილ გიორგის ძე ჭელიძე—სადიმიტროველი. მსახურებდა Кавказская армія, твесанскій 5 рота 3-го взвода. ვსთხოვ თუ ვინმემ იცის რამე შემატყობინოს სამტრედია კონდუქტორ მიქიაშვილს.

— ჩემი შვილი პარმენ ერმილეს ძე ბრეგვაძე რვა კვირიკობისთვემდე ამა მიმდინარე წლისა მსახურებდა მე 220 ქვეითი სათადარიგო ბატალიონში—შემდეგ ამისა მივიღე ცნობა, საიდანაც სჩანს, რომ იგი გადარიცხულა სპარსეთში: Грузинскій конный полкъ, команда связи. დღემდე არავითარი ცნობა აღარ მიმიღია. უმორჩილესათ ვსთხოვ ყველას, ვინც კი რაიმე იცის მის შესახებ მაცნობოს შემდეგი ადრესით: ჭიათურა, რაჟდენ კეჭაყმაძეს, გადასაცემით ზედა-რგანში ერმილე ბრეგვაძეზედ.

---

*) 100 მანეთი რედაქციამ მიიღო პარტიული სტამბის სასარგებლოთ.

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღის ქ. № 22.

ექიმი
ანტიოხი
შინაგანი ავადმყოფობანი და ავადმყოფობანი ყურისა, ყელისა, ცხვირისა და თვალისა.
მიღება ყოველ-დღე გარდა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
შაბათობით უფასოთ, ბებუთოვის ქ. 26.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღეს 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზუმის ქუჩა, № 19.

კბილის საექიმო
და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა
დაარსებული
გ. ზაიცევა-შინკარევის
მიერ, თფილისი, მიხეილის პრ. ს. № 76.
ავადმყოფები მიიღება განუწყვეტლივ
დილით და ღამით.
ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, სად. 5—7 საათამდის, გუნიბის ქ. № 41.

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეზრაგიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, პლევრისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სოლენოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი
ბ. ლონხინი
ყოფილი ასისტენტი [illegible] კლინიკისა იღებს
თვალის ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.
მიხეილის პრ., 76, (ზაიცევის კბილის საექიმო).

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
დებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია.
ტექნიკური ქუჩა, № 4

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; თფილისის ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]-ის გვერდით. ტელეფ. 15—00.

თფილისის ქალაქის საბჭო

აცხადებს თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ

არჩევნები მოხდება

12 და 13 ნოემბერს დილ. 9—9 ს.-მდე და 14 ნოემ. დილ. 9 ს. დღის 2 ს.-მდე.

პ უ რ ი

(ნაწილობრივი ბარათები პურზე)

8 ნოემბრიდან იწყება პურის ჩვეულებრივ ბარათების ნაწილობრივ ბარათებზე გადაცვლა. ის პირები, რომელნიც სადილობენ საზოგადო საკვებებ ადგილებში და ესაჭიროებათ ნაწილობრივი ბარათები, შეუძლიან მიიღონ როგორც ყველა საუბნო სასურსათო კომიტეტებისაგან, ისე „საპურო განყოფილებისაგან“, ნაწილობრივ ბარათის მიღებისათვის უსათუოდ საჭიროა წარდგენა იმ ჩვეულებრივი ბარათისა, რომელიც ხელთა გვაქვს. ის პირები, რომელნიც შეტანილი არიან ჩაერთო საპურო ჩვეულებრივ წიგნაკებში და საჭიროებენ ნაწილობრივ ბარათებს შეუძლიან სურვილისამებრ გამოყოფა.

ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

თფილისის სახელოსნო კლუბი

თეატრალური კომისია მოუწოდებს მსახიობებს შემოიტანონ განცხადება საზამთრო სეზონისათვის. 1—1

რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია

მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოს აღმასრ. კომიტ. არსებული სამხ. სექ. მენშევიკების ფრაქცია დღეს, 9 ნოემბერს მუშის კლუბის დარბაზში (მიხეილის ქ. კინემატოგრაფ „კინო-არსის“ გვერდზე) იწვევს ამ მენშევიკებს და თანამგრძნობთა

საგარნიზონო **კრებას**

დღის წესრიგი: **მიმდინარე მომენტი.**

ვსთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

თფილისის ქალაქის საბჭო

ამით აცხადებს თფილისის 33 საარჩევნო უბანში მცხოვრებ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ისინი ხმის მისაცემათ კუკიის მართლმადიდებელ სამარხთან არსებულ სასწავლებლის (პიატიგორსკის ქ.) მაგიერ უნდა გამოცხადდენ ნაძალადევის მუშათა კლუბში (ანტონიევის ქუჩის ბოლოში). 3—1

გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან

თანახმათ ჩვენი სავალდებულო დადგენილებისა შაქრის გაყიდვის შესახებ 8 ნოემბრიდან ამა წლისა ამიერ კავკ. კოოპერატ. კავშირი ხსნის შაქრის საწყობებს შემდეგ ადგილებში:

1) ანდრეევის ქ. № 80,
2) მადათოვის კუნძული,
3) მოსკოვის ქუჩა № 1,
4) ავლაბარი, კახეთის ქ. № 17,
5) დიდუბე, ელისაბედის ქ. დიდუბის აფთიაქთან.

შაქარი მიეცემა დროებით სასურსათო და შაქრის ბარათის წარდგენისას, კოოპერატივების კავშირის მიერ დადგენილ ნორმის თანახმათ დაწესებულებები მიიღებენ ერთი თვის ნორმას, რომლის გამოსარკვევათ საჭიროა მათ წარადგინონ ცნობები ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირში (მიხეილის პრ. № 178), იმის შესახებ, თუ რამდენი შაქარი სჭირდება წელიწადში. დაწესებულებათა მოსამსახურეებმა უნდა წარადგინონ ამიერ კავკასიის კავშირში კოლექტიური ბარათები, ოჯახის წევრთა აღწერით შაქრის ნორმის რაოდენობის გამოსარკვევათ. როგორც კავშირის საწყობებში, ისე კერძო საწყობებში დადგენილია შემდეგი ფასი (თანახმათ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის დადგენილებისა):

კუბიკ. საქ. 12 ფუნტ. მაგარი თვისებისა 260 მანეთი საწყობში,
„ 48 „ „ 220 მან.
ფუთი დაპობილი შაქრისა მაგარი თვისების 1 მან.

კერძო საწყობები, სადაც შაქრის დაწყობა არ მოხდება სასურსათო კომიტეტის კონტროლიორების ჩვენების თანახმათ, მათ პასუხის გებაში მისცემენ შაქრის ნიხრის ზევით გაყიდვისათვის, შაქარი ჩამოერთმევათ და საწყობები დაიკეტება.

ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სასჯელთა დებულების 29 მუხლის ძალით, რომელიც ეხება მომრიგებელ მოსამართლის მიერ.

მომხმარებელი საზ. „მოსავალი“

აუწყებს საზოგადოებას

პურის გასაყიდათ დუქნები გაიხსნა შემდეგ ადგილებში:

1 უბანში, ცხნეთის ქუჩაზე, ვარდისუბანში, კაზბეგის ქუჩაზე. მე 7 უბანში, ღვინის აღმართში 32, ლაზარევის ქუჩა № 12 არხანგელის ქუჩა 3. კაზბეგოვის ქუჩა № 17. მე-9 უბანში კიროჩნი ქუჩა 37, ერთობის უბანში. მე-10 უბანში მიხაილოვის ქუჩა 96, შილინოვის მაღაზიაში. მე-11 უბანში: ვლადიმიროვის ქუჩაზე, 1 იყრაინის ქუჩაზე, ჩერქეზოვის ქუჩაზე, აფანასიევის ქუჩაზე, ლოტკინის ქუჩაზე. მე-12 უბანში ელისაბედის და ბოთუმის ქუჩის კუთხეში. ღიაა დილის 7—12 საათამდე და 3—6 საათამდე. კანტორა მოთავსებულია მიხაილოვის და კრილოვის ქუჩის კუთხეებში ღიაა 9—3 და 6—8 საათამდე. 10 ნოემბრიდან ცხნეთის ქუჩაზე № 22, ვლადიმიროვის ქუჩაზე და ავლაბარში ღვინის აღმართზე 32, გაიმართება ზედმეტი სასწორი სადაც მხოლოდ წევრებზე გაიყიდება პური.

7—3 გამგეობა.

სოც.-დემოკრატიული სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.